დაწართი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელენე კაკაბაძე

წევრები: ნანა მონიავა, ინგა ბოჭოიძე, ქეთევან ჯანელიძე, გიული გურგენიძე,

მანანა მოისწრაფიშვილი, ხათუნა წერეთელი, ელენე ფიცხელაური,

ირმა წამალაძე, გიორგი ევგენიძე, გიორგი ნაჭყეპია, ინგა ბაქრაძე,

ხათუნა მაისაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ------სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი------

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: -----საჯარო სამართლის იურიდიული პირი----------

საიდენტიფიკაციო კოდი: ----------218076542----------

სახე:

■ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის ბრძანებით №582030 (02.06.2022წ) შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. ნანა მონიავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი);
3. მანანა მოისწრაფიშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - "აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება";
4. გიული გურგენიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "ბუღალტრული აღრიცხვა", "საოფისე საქმე", "საფინანსო სერვისები";
5. ხათუნა წერეთელი - დარგის ექსპერტი (წევრი) - "აღმზრდელი";
6. ირმა წამალაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "საბიბლიოთეკო საქმე";
7. ქეთევან ჯანელიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "ღონისძიების ორგანიზება";
8. გიორგი ნაჭყებია - დარგის ექსპერტი (წევრი) - კომპიუტერული ქსელი და სისტემები";
9. ელენე ფიცხელაური - დარგის ექსპერტი (წევრი) - "რძის პროდუქტების წარმოება";
10. ხათუნა მაისაია - დარგის ექსპერტი (წევრი) - "საექთნო განათლება";
11. გიორგი ევგენიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) – "სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა";
12. ინგა ბაქრაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "ფარმაცია (სააფთიაქო)";
13. ინგა ბოჭოიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პირობების საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2022 წლის 20-23 ივნისს, 4 დღის განმავლობაში ხორციელდებოდა, ბრძანების შესაბამისად ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა ვიზიტში ჩართვა დისტანციურად განახორციელა, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შემოსული დოკუმენტაცია, დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციები და დოკუმენტები. ვიზიტის პერიოდში ჯგუფმა შეადგინა დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, რომელიც ცენტრის უშუალო ჩართულობით დაწესებულებამ კიდევ დამატებით წარმოადგინა ვიზიტის პროცესში, როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონული ვერსიებიც. ვიზიტი მიმდინარეობდა გეგმის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ყოველი დღის ბოლოს დარგის ექსპერტებთან, რომელთა ვიზიტებიც ერთდღიანი იყო აჯამებდა ძირითად მიგნებებს. ხოლო ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა სტანდარტების შეფასებების შედეგები და ძირითადი მიგნებები, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლებს გაუზიარა.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის განმარტებით - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები.

უნივერსიტეტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ორ სასწავლო კორპუსში (IV და V კორპუსი, მის.: აღმაშენებლის N124 და ბესიკის N2), რომლებიც მხოლოდ პროფესიული სწავლებისთვის გამოიყენება. თუმცა, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

სტუდენტები და პროფესიული მასწავლებლები ასევე სარგებლობენ ყველა საუნივერსიტეტო სერვისით და შესაბამისი სივრცეებით, როგორც აკადემიური პროგრამების სტუდენტები და პერსონალი. პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართულია 3

აკადემიური პერსონალი, მათი დატვირთვების გადამოწმების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ არ იქმნება შესაბამისი აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ ვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☒	☐	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2021 წ. ავტორიზაციის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით და ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაიცა ორი შესაბამისობის რეკომენდაცია:

1. დაწესებულებას არ ჰყავდა კანონმდებლობის დადგენილი წესის შესაბამისი სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მიეცა ორთვიანი ვადა. (მე- 5 სტანდარტის -5.1.1.5 კომპონენტი).
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „საფინანსო სერვისები“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ იყო უზრუნველყოფილი დაწესებულების სასწავლო/საწარმო პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და მიეცათ ერთთვიანი ვადა. (მე-2 სტანდარტის -2.2.1.1კომპონენტი).

   დაწესებულებამ გაუმჯობესების გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეასრულა ორივე რეკომენდაცია და ასევე გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ხარვეზი არ დაფიქსირდა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

მე-2 სტანდარტთან დაკავშირებული განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“

2.1.1.8. პროგრამის ადმინისტრირებას მეტად გაამარტივებს თუ პრერეკვიზიტი მოდულის შემდეგ დაცული იქნება არა ერთკვირიანი, არამედ ორკვირიანი შუალედი პროფესიული სტუდენტისთვის განმეორებითი შეფასების უზრუნველყოფისთვის. აგრეთვე, დაწესებულებამ სასურველია მოახდინოს შესაბამისი წესების დაცვით პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში ცვლილების ინიცირება, რათა მოდულის „პრაქტიკული პროექტი ამზომველ-ტოპოგრაფისთვის“ წინაპირობა, რომელიცაა „პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოდული“ დაზუსტდეს და მიეთითოს „ყველა პროფესიული მოდული“, ვინაიდან არსებული წინაპირობის დაცვა პროფესიული პროგრამის უწყვეტად განხორციელების პირობით შეუძლებელია, და ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ხორციელდება ისეთი ზოგადი სავალდებულო მოდულებიც, რომელიც არ არის აღნიშნული მოდულის ლოგიკური წინაპირობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“

2.2.1.1. სასურველია პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დანართის სახით ახლდეს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“

2.2.1.1. სასურველია, საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში საავიაციო ტვირთების საწყობში მიღებისა და გაგზავნასთან დაკავშირებული სპეციფიკის შესწავლა განხორციელდეს შესაბამის ორგანიზაციაში;
2.2.1.2. სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის ზრდა.
2.2.1.7. სასურველია მოხდეს ბიუჯეტის რეკალკულაცია და რენტაბელობის ზღვრის იმგვარად დადგენა, რომ თუნდაც 2 სტუდენტის (20%) სტატუსის შეჩერების შემთხვევაში პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

2.1.1.4. დაწესებულებამ სისტემატიურად უნდა მოახდინოს მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ყველა ინტერნეტ-მისამართის/ბმულის შემოწმება და განახლება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“

2.2.1.1. გადაიხედოს მატერიალური რესურსების დანართი და გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები.

2.2.1.2. სასურველი იენება თუ მოხდება რძე და რძის პროდუქტების პროფესიული მოდულის განმახორციელებლის დამატება, რათა პროგრამის ხელმძღვანელს ჰყავდეს შემცვლელი საჭიროების შემთხვევაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“

2.2.1.5. მოდულებში მოხდეს ლიტერატურის გადახედვა და ტექნიკური ხარვეზების გასწორება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

2.2.1.3. სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლები ინტენსიურად გადიოდნენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს, ესწრებოდნენ ბიბლიოთეკის სპეციალისტთა გადამზადების ტრენინგებს.

2.2.1.5. განხორციელდეს გორის პროფესიული განათლების ცენტრის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსის სრულყოფილად დამუშავება საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად; პერიოდულად რაოდენობრივი მაჩვენებლის ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს ბიბლიოთეკას დააზუსტოს ხარისხობრივი მაჩვენებელი, გააკეთოს შედარებითი ანალიზი და დასახოს სტრატეგიული განვითარების გეგმა; ყველა სახის საბიბლიოთეკო პროცესი და ოპერაცია აისახოს დოკუმენტაციის სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

VIII. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა - ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას, რაც შესაბამისობაშია პროფესიული განათლების შემდეგ მიზნებთან: ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა; სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრულია საქმიანობის ძირითადი მიმართულება (პროფილი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, მაღალი ხარისხის აკადემიურ (საბაკალავრო, სამაგისტრო) და პროფესიულ განათლებას, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს.
- უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების, სამეცნიერო კვლევის, შემოქმედებითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ხელშემწყობი, უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნასა და განვითარებას;
- ხელს უწყობს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პიროვნული პოტენციალის რეალიზებასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას;
- ნერგავს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის (უწყვეტი განათლების) სისტემას საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებითა და განხორციელებით;
- მხარს უჭერს და განამტკიცებს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, თანამშრომლების, ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციული მმართველობის სტრუქტურების ინიციატივას უნივერსიტეტის ერთობლივი მართვის კუთხით;
- ავითარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ქვეყნისა და უცხოეთის მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხელს უწყობსსტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას.

მისიის მიხედვით, ირკვევა, რომ ის მრავალპროფილურია და იძლევა შესაძლებლობას დაწესებულებამ განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც არსებულ რეგიონში მნიშვნელოვანია, რადგან შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნაზეა ორიენტირებული.

ყოველივე ეს განასხვავებს მას სხვა პსდ-გან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარეობს დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. კერძოდ: სასწავლო უნივერსიტეტის ხედვაა ორიენტირებულობა უწყვეტ განვითარებაზე, მათ შორის ევროპულ განათლებასთან ჰარმონიზაციაზე. უნივერსიტეტის საქმიანობა ხელს შეუწყობს წარმატებული სპეციალისტების მომზადებასა და მათ ინტეგრირებას კონკურენტულ შრომით ბაზარზე.

   დაწესებულების ღირებულებები:

   - დემოკრატიულობა;
   - განვითარებაზე ორიენტირებულობა;
   - კეთილსინდისიერება;
   - აკადემიური თავისუფლება;
   - გამჭვირვალობა და ღიაობა.

   კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე (https://gu.edu.ge/ge/about/university-mission) სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, ადმინისტრაციის, დამსაქმებლების და დაინტერესებული საზოგადოების სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

წარმომადგენლების მონაწილეობით შემუშავდა. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების ცენტრის თანამშრომლებთან, პროგრამების განმახორციელებლებთან გასაუბრებამ, მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმების შესწავლამ დაადასტურა, რომ გაცნობიერებული აქვთ დაწესებულების როლი ქვეყნის განვითარებაში, იცნობენ და იზიარებენ დაწესებულების მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული მისიის განაცხადი, ხედვა და ღირებულებები https://gu.edu.ge/ge/
2. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტანდარტების მიმართ თვითშეფასებისა და კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ასევე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ (N1-17; 22/02/2018) ბრძანების მიხედვით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10 (2018 წლის 27 თებერვლიდან -15 მაისის ჩათვლით).
3. ინტერვიურების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და პროფესიული განათლების ცენტრის ერთწლიანი სამოქმედო გეგმები რომლებიც შესაბამისობაშია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრიორიტეტებთან და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

თავსებადია დაინტერესებული მხარეების მოლოდინებთან. აღნიშნული გეგმების შემუშავებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით, რომლის მთავარ ორიენტირს PDCA ციკლზე დაფუძნებული პროცესების გამოყენებით და პერსონალის მაქსიმალური ჩართულობით უნივერსიტეტის უწყვეტი განვითარება წარმოადგენს. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი დაგეგმვის პროცესი ოთხი ძირითადი მიმართულებებისაგან შედგება: ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი; სტრატეგიული გეგმის შემუშავება/რევიზია; სამოქმედო გეგმების შემუშავება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება.

პირველ ეტაპზე შესწავლილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუციის ანალიზი SWOT და PESTEL მეთოდოლოგიების გამოყენებით, რომელიც მოიცავს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს. ანალიზის შედეგად ყალიბდება წარმოდგენა დაწესებულებაში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ. პირველი ეტაპის ბოლოს ხდება სიტუაციის ანალიზის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან და უკუკავშირის მიღება. მეორე ეტაპზე, უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტრატეგიული განვითარების გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავება და ამოცანების ფორმირება. საჯარო განხილვების ახალი ციკლის შედეგად ხდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბება. განისაზღვრება ამოცანების შესრულების ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიული განვითარების გეგმის საბოლოო ვერსიის განხილვა და დამტკიცება აკადემიურ საბჭოს მიერ ხდება. მესამე ეტაპი სამოქმედო გეგმის ფორმირებას მოიაზრებს, რომელსაც უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საბჭო ახორციელებს. საბჭო პრიორიტეტების იდენტიფიცირების, სამწლიანი (აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამებისათვის) და ერთწლიანი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის) სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიაზე მუშაობის პროცესში ითვალისწინებს, რომ სამოქმედო გეგმაში ასახული ამოცანები აკმაყოფილებდეს SMART კრიტერიუმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საბჭო უზრუნველყოფს მათი საჯარო განხილვების ორგანიზებასა და უკუკავშირის გათვალისწინებას. საბოლოო, შეჯერებულ ვერსიებს განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. მეოთხე ეტაპი გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესია, რაც უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ამოცანებისა და საქმიანობების შესრულების დონის, ხარისხის და ეფექტიანობის კონტროლს გულისხმობს. მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგს ყოველწლიურად რექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს. მონიტორინგის ჯგუფი ადგენს წინა წლის სამოქმედო გეგმების შესრულების ფაქტს, გეგმებით გათვალისწინებული თითოეული ამოცანისათვის განსაზღვრული ინდიკატორით ახდენს დადგენილი შედეგის მიღწევის შეფასებას. მონიტორინგის ანგარიშში ასახულ ყველა ამოცანას/აქტივობას ენიჭება შესაბამისი სტატუსი (1.შესრულებულია სრულად; 2.შესრულებულია მეტწილად; 3.შესრულებულია ნაწილობრივ; 4.მიმდინარეობს განხორციელება; 5.განხორციელება არ დაწყებულა; 6.შეწყვეტილია). მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული მონიტორინგის ანგარიში წარედგინება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საბჭოს, რომელიც აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე ახორციელებს სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და შეიმუშავებს შესაბამისი დასკვნის პროექტს. სტრატეგიული განვითარების საბჭოს დასკვნა რეაგირების მიზნით წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს შესაბამისი პროცესების ინიცირებას.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. უნივერსიტეტის 2020 -2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპი მოიცავს დაწესებულების პერსონალის, ბენეფიციარებისა და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას უნივერსიტეტის შიდა პროცესების, დამოკიდებულებებისა და ხედვების შესახებ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუციის ანალიზი SWOT (სიძლიერე, სისუსტეები, შესაძლებლობები, საფრთხეები) და PESTEL (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, საკანონმდებლო ფაქტორები) მეთოდოლოგიების გამოყენებით, რომელიც მოიცავს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს.

შიდა ფაქტორების ანალიზი მოიცავს სხვადასხვა სეგმენტებს, როგორიცაა, სასწავლო პროცესი, ხარისხის უზრუნველყოფა, პერსონალი და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, სტუდენტური სერვისები, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები, შრომის პირობები, მართვის სისტემა და ა.შ. სტუდენტებისა და დაწესებულებაში დასაქმებულების გამოკითხვების ანალიზის შედეგად ხდება დაწესებულების საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა.

პირველი ეტაპის ბოლოს ხდება სიტუაციის ანალიზის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან და უკუკავშირის მიღება. რის შემდეგაც იწყება სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიების შემუშავება.

სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ, სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საბჭო უზრუნველყოფს მათი საჯარო განხილვების ორგანიზებასა და უკუკავშირის გათვალისწინებას, რის შემდეგაც ხდება სამოქმედო გეგმების საბოლოო, შეჯერებული ვერსიების განხილვა და დამტკიცება აკადემიური საბჭოს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

რაც დასტურდება ინტერვიუებით და სტრატეგიული საბჭოს სხდომის ოქმებით

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან თავსებადი მიზნები, მისი შესაბამისი ამოცანები, მათი განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები. დაწესებულებაში არსებობს პროფესიული განათლების ცენტრის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს 2021-2022 სასწავლო წლის პერიოდში დაწესებულების ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს და პასუხისმგებელ პირებს.უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში გამოკვეთილია ხუთი სტრატეგიული მიზანი შესაბამისი ამოცანებით: სტრატეგიული მიზანი 1. ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარება სტრატეგიული მიზანი - 8 ამოცანით. 2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის განვითარება სტრატეგიული მიზანი - 5 ამოცანით. 3. სტუდენტური სერვისების განვითარება- 7 ამოცანით. სტრატეგიული მიზანი 4. პერსონალის განვითარების მხარდაჭერა სტრატეგიული მიზანი - 5 ამოცანით. 5. მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსების განვითარება - 7 ამოცანით. სასწავლო უნივერსიტეტი შეიმუშავებს სამწლიან სამოქმედო გეგმას, ხოლო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრი ყოველწლიურად შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და პროფესიული ცენტრის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმები. სტრატეგიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

გეგმაში განსაზღვრულია მიზნების შესაბამისი ამოცანები. 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ამოცანები, შესრულების პერიოდი, შესრულების ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით
2. სტატეგიული და სამოქმედო გეგმებით.
3. სტრატეგიული განვითარების საბჭოს სხდომის ოქმი (15/12/2021)

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას. მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, რაც გამოიხატება სათანადო გადაწყვეტილებათა მიღებისას პროფესიული სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მოსაზრებებისა და პოზიციების გათვალისწინებაში. რის შედეგადაც სტრატეგიული განვითარების გეგმაში შესაძლებელია, შეტანილ იქნას ცვლილებები. აკადემიურ საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს შესაბამისი პროცესების ინიცირებას. საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, ისეთი ახალი გარემოებების დადგომის პირობებში, რომლის საპასუხოდ აუცილებელია სტრატეგიულ ან სამოქმედო გეგმაში ცვლილებების დაუყოვნებლად შეტანა, არაგეგმიური მონიტორინგის ინიცირებას ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორი.

   წლიური გეგმების შესრულების ანგარიშები წარმოდგენილია დაწესებულების ვებ-გვერდზე https://gu.edu.ge/ge/vocational-education-center/action-plan

   დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების, განხილვისა და შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

გათვალისწინების პრაქტიკა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა სასწავლო დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურებისას.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის შემადგენელი ნაწილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება, რითაც ხდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ამოცანებისა და საქმიანობების შესრულების დონის, ხარისხის და ეფექტიანობის კონტროლი. მონიტორინგის პროცესი ხორციელდება ყოველწლიურად და მას წარმართავს რექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, ისეთი ახალი გარემოებების დადგომის პირობებში, რომლის საპასუხოდ აუცილებელია სტრატეგიულ ან სამოქმედო გეგმაში ცვლილებების დაუყოვნებლად შეტანა, არაგეგმიური მონიტორინგის ინიცირებას ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორი.

მონიტორინგის ანგარიშში ასახული ამოცანების შესრულების შეფასება უნდა ეყრდნობოდეს ამ ამოცანებისათვის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს. მონიტორინგის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, მონიტორინგის ჯგუფს წარუდგენენ ანგარიშს, სადაც ასახული იქნება წინა წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის შედეგები, რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებელი იყო სტრუქტურული ერთეული. მონიტორინგის ჯგუფი უფლებამოსილია გამოითხოვს სამოქმედო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია სხვა სტრუქტურული ერთეულებისაგან. სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებზე დაყრდნობით მონიტორინგის ჯგუფი ადგენს წინა წლის სამოქმედო გეგმების შესრულების ფაქტს, გეგმებით გათვალისწინებული თითოეული ამოცანისათვის განსაზღვრული ინდიკატორით ახდენს დადგენილი შედეგის მიღწევის შეფასებას. მონიტორინგის ანგარიშში ასახულ ყველა ამოცანას/აქტივობას ენიჭება დამდგარი ფაქტის შესაბამისი სტატუსი: 1. შესრულებულია სრულად; 2. შესრულებულია მეტწილად; 3. შესრულებულია ნაწილობრივ; 4. მიმდინარეობს; 5. განხორციელება არ დაწყებულა; 6. შეწყვეტილია.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული მონიტორინგის ანგარიში წარედგინება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საბჭოს, რომელიც აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე ახორციელებს სამოქმედო გეგმების (აკადემიურ და პროფესიულ ფლანგზე) შესრულების შეფასებას და შეიმუშავებს შესაბამისი დასკვნის პროექტს. მონიტორინგის გზით გამოვლენილი არასასურველი ტენდენციებისა და პრობლემების არსებობის შემთხვევაში, სტრატეგიული განვითარების საბჭოს დასკვნის პროექტში ასახული უნდა იყოს მათი გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები სამოქმედო გეგმებში შესატანი მაკორექტირებელი ცვლილებების ან/და გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე. დასკვნის პროექტი, უკუკავშირის მიღების მიზნით, განსახილველად ეგზავნება უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული წინადადებებისა და მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე სტრატეგიული განვითარების საბჭო შეიმუშავებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

დასკვნის საბოლოო ვერსიას. სტრატეგიული განვითარების საბჭოს დასკვნა რეაგირების მიზნით წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. აღნიშნული დასკვნის განხილვის შედეგად, აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს შესაბამისი პროცესების ინიცირებას.

წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი, მისი სამსახურები და პროფესიული განათლების ცენტრი სათანადოდ რეაგირებს შეფასების და დაინტერესებული მხარეების მხრიდან უკუკავშირის შედეგებზე.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით სასწავლო უნივერსიტეტის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ ანგარიში საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის. 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიში შეფასებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული PESTEL მეთოდოლოგიის მეოთხე ეტაპით განსაზღვრული პრინციპის გამოყენებით, სადაც თითოეულ ამოცანას მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

https://gu.edu.ge/ge/vocational-education-center/action-plan

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://gu.edu.ge/uploads/other/13/13018.pdf

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სტარტეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, მეთოდლოგია.
2. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით შექმნილი ჯგუფის სხდომის ოქმი (30/11/2021)
3. https://gu.edu.ge/ge/vocational-education-center/action-plan
4. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://gu.edu.ge/uploads/other/13/13018.pdf

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

   სტუდენტის უფლებები და კანონმდებლობით განსაზღვრული გარანტიები ასახულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (დამტკიცებულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით). წესი არეგულირებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს. რეგულაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის V თავის მე-15 მუხლით და ხელშეკრულებით განსაზღვრულია სტუდენტის უფლებები და მოვალეობები. კერძოდ, სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს მიიღოს ხარისხიანი განათლება; ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზით, ბაიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით; მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება; გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა; მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერი საკითხის შესახებ; უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; დააფუძნოს ან/დაგაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესის მიხედვით.

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დარეგულირებულია პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხები.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებაში არსებობს პროფესიული სტუდენტისათვის მათი კანონიერი უფლებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, მათ შორის შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ. შესაბამისი პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიულ კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების პროცესში დადგინდა, რომ ისინი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

სასწავლო პროგრამაზე სწავლის დასაწყისშივე პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების პედაგოგებისაგან მიიღეს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, მათი ინტერესების დაცვის მექანიზმების, შეფასების გასაჩივრებასთან დაკავშირებით.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებით სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-6 თავის მუხლი 18. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო პროგრამებზე მიხედვით, ხდება. მარეგულირებელი წესი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე https://gu.edu.ge/ge/vocational-education-center/regulations . შეფასების საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ შეფასების სისტემის, პრინციპების, შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმის შესახებ პროფესიული სტუდენტები სწავლის დაწყებამდე არიან ინფორმირებულები. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება რექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძელზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ.

ინფორმაციას სასწავლო პროცესის როგორც დასაწყისში, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პროგრამის ხელმძღვანელისა და პედაგოგებისაგან იღებენ, ინფორმაციის მიწოდების, უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით. გასაუბრების დროს როგორც პროფესიულმა სტუდენტმა, ისევე კურსდამთავრებულმა აღნიშნეს რომ მსგავსი საჭიროება მათ პირადად არ ჰქონიათ.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილია დაწესებულების სტუდენტების უფლებების დაცვა. ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს: დაწესებულება ვალდებულია მისცეს, ხოლო სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება. დაწესებულება ვალდებულია გააცნოს სტუდენტს სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სტუდენტის შეფასებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული მექანიზმები. სტუდენტი კი თავის მხრივ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ვალდებულია, დაიცვას შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმები. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ასევე სტუდენტი ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას აძლევს უფლებას, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დავის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმე. გადამოწმდა სტატუს შეჩერებული, სტატუს შეწყვეტილი და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებს. შესწავლილი ხელშეკრულებებიდან არცერთი არასრულწლოვანთან არ იყო გაფორმებული. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მიუხედავად არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების საჭიროების არარსებობისა, მათთვის ცნობილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილი არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების პროცედურა.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციის (დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

N6-27 დადგენილებით) მუხლი 6-ში პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურაა გაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს არ დასჭირვებიათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა დაწესებულებას გააზრებული აღნიშნული პროცედურები და გამოთქვამენ საჭიროების შემთხვევაში მზაობას.

წესის მიხედვით სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება. მაგალითად ისეთი როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი; სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში; მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი; წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება; პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/სასწავლო კურსს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/სასწავლო კურსის მოთხოვნებთან მიმართებით. პროფესიული სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, პროფესიული სტუდენტის ჩართულობით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაბამისი მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის თანამონაწილეობით. საჭიროების შემთხვევაში, ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან. პროფესიული განათლების ცენტრი ამზადებს დასკვნას, რაც წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; პროფესიული სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი
2. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
3. სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
4. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია
5. ინტერვიუირების შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით მიღებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, უფლება აქვს მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერი საკითხის შესახებ. პროფესიულ სტუდენტს კონსულტირების მიღების შესაძლებლობა აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, სასწავლო პროცესის მენეჯერისგან. დაწესებულება ახდენს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სწავლის შედეგების დადასტურება, განმეორებითი შეფასების თარიღები, პრაქტიკული კომპონენტის დაწყებისა და დასრულების, პროცესში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. პროფესიული განათლების მასწავლებელი საჭიროების მიხედვით, მართავს ინდივიდუალურ შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც რაიმე ტიპის პრობლემა აქვთ სწავლის შედეგის მიღწევისას. ამისათვის მასწავლებელი პროფესიული სტუდენტთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

სტუდენტებთან შეხვედრისას, დადგინდა, რომ დაწესებულება პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას აქტიურად ახდენს სხვადასხვა საკითხებთან, მათ შორის აკადემიურ მიღწევებთან მიმართებაში, როგორც პირისპირ ასევე დისტანციურ ფორმატშიც. პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებასთან, ვაკანსიების მოძიებასთან, CV-ის შედგენასთან დაკავშირებით კონსულტირებისთვის შეუძლიათ მიმართონ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, რომელიც აქტიურ დახმარებას უწერვს პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

წარმოდგენილი მექანიზმები და აქტივობები დადასტურებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიული პროფესიული სტუდენტები ადაპტირებულნი არიან სასწავლო გარემოსთან, რაც გამოიხატება ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული მასწავლებლების, პრაქტიკის განმახორციელებლების მხრიდან მათ კონსულტირებაში, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო პროცესის ხელშეწყობაში.

4.დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. სასწავლო უნივერსიტეტს ადმკინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სახით ჰყავს დაცვის სამსახური და შემუშავებული აქვს დაცვის სამსახურის დებულება, რომელშიც გაწერილია: სამსახურის საქმიანობის სფერო და ფუნქციები, სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა. აღნიშნულის შესაბამისად დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული დაცვის თანამშრომელთან. შენობა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ინფორმაციის შენახვის ფუნქციის მქონე სათავლთვალო კამერებით.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შრომის უსაფრთხოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

2. „საგანგებო სიტუაციების მართვის პოლიტიკა“;
3. „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“;
4. მედდასთან და დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
5. დაცვის სამსახურის დებულება;
6. შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ინფორმაციის შენახვის ფუნქციის მქონე სათავლთვალო კამერები;
7. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესბულებას დამტკიცებული აქვს „ბიზნესპროცესების უწყვეტობის წესი“ და შემუშავებული აქვს შესაბამისი „ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა“. დაწესებულებას საშტატო განრიგით ხელშეკრულება აქვს გაფორმებული IT მენეჯერთან, რომელიც ახორციელებს ცენტრის კომპიუტერული ქსელის მართვას და ადმინისტრირებას.უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელის გამართულ ფუნქციონირებასა, პროგრამულ უზრუნველყოფას, ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

მოდიფიცირებას და პროგრამულ უზრუნველყოფას. ტექნიკურ ზედამხედველობას უწევს ცენტრის საინფორმაციო სოციალური ქსელების განვითარებას.

ექსპერტთა მიერ მოხდა IT ინფრასტრუქტურის ფიზიკური დათვალიერება, ასევე კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმება და დასტურდება რომ დაწესებულებას გააჩნია შესააბამისი ინფრასტრუქტურა და ინტერნეტ-რესურსი.

2. დაწესებულების მიერ შემუშავებული „ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმით“ ხორციელდება საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა. კერძოდ, ხდება რისკის შეფასება შემდეგი კომპონენტებით: რისკის დასახელება, მოხდენის ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი), დაწესებულების საქმიანობაზე გავლენა (მაღალი, საშუალო, დაბალი), გავლენა სტუდენტებზე (მაღალი, საშუალო, დაბალი), პრევენციის და კონტროლის მექანიზმები, მოცდენის პერიოდი, გაუმჯობესების პოტენციური გზები/საპასუხო ღონისძიებები, პასუხისმგებელი სამსახური და შეფასება. ინტერნეტსერვისის შემოწმება ხდება ყოველსემესტრულად და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება მისი აღდგენა/განახლება, ხოლო დაზიანებული მოწყობილობის სათადარიგოთი ჩანაცვლება. აპარატურული მოწყობილობების, სერვისების პროგრამული უზრუნველყოფის, მონაცემთა მიუწვდომლობა, განადგურების შემოწმება კი ხდება ყოველთვიურად.

აღნიშნულის საფუძველზე პასუხისმგებელ პირთან მოხდა გასაუბრება და დასტურდა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმით“ ნამდვილად ხდება IT რისკების მართვა და გეგმის საფუძველზე დადგენილი პროცედურების განხორციელება და მონიტორინგი. პასუხისმგებელი პირის პირადი საქმის შემოწმებისა და გასაუბრების საფუძველზე **დადასტურდა, რომ დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

3. დაწესებულების პერსონალთან და სტუდენტებთა გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვას. კერძოდ, უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაამუშაოს პერსონალის და პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები, საქართველოს კანონმდებლობით უნივერსიტეტისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით და პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სხვა აქტების შესაბამისად.

   დაწესებულებაში დაცულია პერსონალური მონაცემები.

4. დაწესებულებაში საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მონიტორინგი და პროფილაქტიკა ხორციელდება „ბიზნესპროცესების უწყვეტობის წესის“ და შესაბამისი „ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის“ შესაბამისად.

   აღნიშნულის საფუძველზე პასუხისმგებელ პირებთან ჩატარდა გასაუბრება და დასტურდება, რომ დაწესებულება პერმანენტულად ახორციელებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მონიტორინგსა და მონიტორინგის საფუძველზე პროფილაქტიკას.

5. სასწავლო უნივერსიტეტს (დამტკიცებული 13.10.2020 N 1-95 ბრძანებით) შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო ცენტრის თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა მიერ მატერიალური რესურსებით სარგებლობისა და სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის წესი“, რომელიც ითვალისწინებს მატერიალური რესურსებით სარგებლობის პირობებს, რომლის თანახმად, დაწესებულების პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტი და შესაბამისი მომსახურება ქსელის მენეჯერის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ხელშეწყობით. მეცადინეობების დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ დაწესებულების კომპიუტერული ტექნიკით სასწავლო აუდიტორიებში და ბიბლიოთეკაში.

დაწესებულების პერსონალთან და პროფესიული სტუდენტებთან **გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულების პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტი და შესაბამისი მომსახურება ქსელის მენეჯერის ხელშეწყობით.**

6. დაწესებულება იყენებს საგანმანათლებლო (Googl educational) სერვისს. სერვისი მოიცავს კორპორატიულ მეილებს, როგორც პერსონალისთვის, ისე სტუდენტების/პროფესიული სტუდენტებისათვის. აღნიშნულ საშუალებას დაწესებულება ეფექტურად იყენებს მათთან ოპერატიული კომუნიკაციისთვის.

   ასევე დაწესებულებაში ადმინისტრაციის, პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლებისთვის ფუნქციონირებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა - eflow. ხოლო სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება ვებ-გვერდის, ფეისბუქ- გვერდის, ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო მესიჯების და სოციალური ქსელის საშუალებით.

კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „ბიზნესპროცესების უწყვეტობის წესი“;
2. „ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა“;
3. ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
4. პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

5. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
6. დაწესებულების წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან გასაუბრება;
7. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კანონმდებლობასთან შესაბამისი „საქმისწარმოების ერთიანი წესი“, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის, ბრძანებების, სამსახურებრივი/მოხსენებითი ბარათების, ცნობების მომზადების წესს და საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. წესი ვრცელდება უნივერსიტეტის დოკუმენტაციის ყველა სახეზე და ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

თანამშრომლისათვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. უნივერსიტეტში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული (eFlow.emis.ge) და მატერიალური ფორმით. ელექტრონული საქმისწარმოება ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების მატერიალური და ელექტრონული დამუშავების თავსებადობას. ელექტრონულ დოკუმენტზე ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამით განხორციელებულ ხელმოწერას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა. ხელმოწერილი ელექტრონული დოკუმენტის ყველა ეგზემპლარი ორიგინალად ითვლება. ელექტრონულ დოკუმენტს არ შეიძლება ჰქონდეს ელექტრონული ასლი.

ექსპერტები გავეცანით აღნიშნულ საქმისწარმოების წესს და გავესაუბრეთ პასუხისმგებელ პირს რომლის საფუძველზეც დავადგინეთ, რომ დაწესებულებაში საქმისწარმოება აგებულია ცენტრალიზაციის პრინციპით და შეესაბამება ინდიკატორით გასაზღვრულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

2. უნივერსიტეტის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის. საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული (eFlow.emis.ge) ფორმით და ყველა თანამშრომელი ჩართულია ელექტრონულ სისტემაში. ასევე გამოიყენება მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა office 365, teams, zoom, Google, და სხვა პლატფორმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

დაწესებულება მართვაში იყენებს როგორც eFlow.emis.ge -ის ასევე სხვა პლატფორმებს, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. დაწესებულებას საშტატო განრიგით ჰყავს რეესტრის წარმოების მენეჯერი, რომელიც ვალდებულია დადგენილ ვადებში შეიტანოს შესაბამისი ინფორმაცია სისტემაში. კერძოდ, რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა შესახებ ინფორმაციის შეტანას მართვის საინფორმაციო სისტემაში, პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის წარმოშობის, შეჩერებისა და შეწყვეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე ქმნის და მონიტორინგს უწევს ელექტრონულ მონაცემთა ბაზას, თანამშრომლობს უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებასთან მართვის საინფორმაციო სისტემის გამართულად მუშაობის მიზნით, უზრუნველყოფს აპლიკანტთა და მოწვეულ მასწავლებელთა ასახვას/რეგისტრაციას მართვის საინფორმაციო სისტემაში, ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს. იგი პასუხისმგებელია შეტანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

ექსპერტთა მიერ მოხდა რეესტრის გადამოწმება და რეესტრის წარმოების მენეჯერთან გასაუბრება, რითიც დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. დაწესებულება მუდმივმოქმედ რეჟიმში, დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს, მინისტრის სახელზე ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის საშუალებით, ხორციელდება კოლეჯის მთელი წლის საქმიანობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

ანგარიშის წარდგენა. ასევე, წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ხდება ინფორმირება ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კოლეჯის ძირითად საქმიანობას. შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება უკუკავშირი, ინფორმაციის გაცვლა, განაცხადების შეტანა, რეკომენდაციების მიღება და ა. შ. იმ მნიშვნელოვან ზემდგომ ორგანოებთან, როგორიცაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციოსისტემა და ა. შ.

აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება ზემდგომ ორგანოებს დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას, შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება დროული უკუკავშირი და შესაბამისი საქმისწარმოება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო უნივერსიტეტის „საქმისწარმოებისა ერთიანი წესი;“
2. პროფესიული მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
3. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა eFlow.emis.ge;
4. მიღებული და გაგზავნილი კორესპონდეცია,გაგზავნილი ანგარიშები;
5. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი (www.gu.edu.ge.) და სოციალური ქსელი (facebook -სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი) ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია გონივრულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

ვადაში მიეწოდება დაინტერესებულ პირებს. ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, იგი ასევე წარმოადგენს საკომუნიკაციო პლატფორმას (უკუკავშირის შესაძლებლობა). ვებგვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ვებგვერდზე დატანილია ყველა ის არსებითი ინფორმაცია, რაც იძლევა პროფესიულ განათლებაში კოლეჯის ადგილისა და როლის ამოცნობის საშუალებას, კერძოდ:

- დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები;
- დაწესებულების სტრუქტურა;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
- პერსონალის შესახებ ინფორმაცია;
- მთავარი სიახლეები;
- საბიბლიოთეკო რესურსები, ელექტრონული კატალოგი;
- ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის;
- დაწესებულების საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეო გალერეა;
- საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ.

დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელი რომლებიც ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია გონივრულ ვადაში მიეწოდება დაინტერესებულ პირებს, რითიც ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

2. დაწესებულებას, რამდენადაც მის მისიაში განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი, გააჩნია ინგლისურენოვანი ვებგვერდი www.gu.edu.ge თუმცა აღნიშნული ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი პროფესიული განათლების მიმართულებით, ვინაიდან ამ ეტაპზე უცხო ენაზე არ ხორციელდება არცერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულებას საშტატო განრიგით გათვალისწინებული ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელიც გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის პოპულარიზაციას. აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფს ცენტრში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირებულობას, რაც მოიცავს ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის, როგორც ტექსტური, ასევე ფოტომასალის განთავსებას უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე/სოციალურ ქსელში IT მენეჯერთან ერთად. ასევე უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდებას საუნივერსიტეტო ცხოვრების და ღონისძიებების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესწავლა, საზოგადოებასთან საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების პრაქტიკა, გავრცელებული ინფორმაციის შინაარსები, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულებაში ღონისძიებების ჩატარებაზე და პიარზე პასუხისმგებელ პირებთან და დაადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. საზოგადოებისთვის საინტერესო და ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ატვირთულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დადგენილ იქნა, რომ დაწესებულება მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და ამასთავე უზრუნველყოფს მისი საქმიანობის სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, რომლისთვისაც იყენებს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებს (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) და შეესაბამება ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. დაწესებულების კატალოგი განთავსებულია ვებ-გვერდზე - www.gu.edu.ge. კატალოგში მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები აღწერილობებით, პროგრამების პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლოპროცესშიჩართვის წესი, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო პროგრამებზე და საკონტაქტო ინფორმაცია, რათა დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ დაწესებულებასთან დაკავშირება პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად.

პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ ინფორმაციაც განთავსებულია ვებ გვერდზე - www.gu.edu.ge. აქვე განთავსებულია ამ პროგრამების მოკლე აღწერილობა.

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ, შესაბამისად **კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ვებ-გვერდზე - www.gu.edu.ge. პროგრამების კატალოგის განახლება ხდება ცვლილების შემთხვევაში, დაწესებულებას აგრეთვე საჯაროდ გამოქვეყნებული აქვს ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც დაინტერესებულ მხარეს დაეხმარება პროგრამისა თუ სხვა ტექნიკური საკითხების დასადგენად და **დაწესებულება აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს.**

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ექსპერტთა მიერ გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას მყისიერი რეაგირება აქვს სოციალური ქსელიდან შემოსული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში მასზე დროული და ეფექტური უკუკავშირის გასაცემად და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების მიხედვით ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან განიხილება მათ საფუძველზე დაწესებულების განმავითარებელი აქტივობები, რაც ადასტურებს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
2. მოქმედი ვებგვერდი - www.gu.edu.ge. ქართულ ენაზე, ასევეინგლისურენოვანი ვებგვერდი.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
4. ებ-გვერდზე განთავსებული ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, დაწესებულების წლიური ანგარიშები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

5. პროფესიულ სტუდენტებთან, პერსონალთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის წესდებასთან. დაწესებულიბის ბიუჯეტი გაწერილია 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

2019 წლის 1 ივლისიდან უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების ცენტრი და ცალკე გამოიყო პროფესიული პროგრამების ბიუჯეტი. დაწესებულების სტრატეგილი და სამოქმედო გეგმების განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, რომელიც დაგეგმილი აქტივობების ადექვატურია. დაწესებულება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას უზრუნველყოფს პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით.

კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომელიც მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, კომუნალური, გადასახადების, ისე მომსახურებისა და შესყიდვების და სხვა საჭირო ხარჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა კოლეჯის ფინანსური დოკუმენტაცია, სამეურნეო და ინვენტარის შესყიდვების, კომუნალური გადასახადების გადარიცხვების, სახელფასო ანაზღაურების, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯების შესახებ და **დადგინდა, რომ კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.**
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, რაც დადასტურდა სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებითა და მათი ფინანსური ანგარიშების შესწავლით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მე-9 და მე-2 მუხლების მიხედვით საბიუჯეტო საჯარო ორგანიზაციებს არ აქვთ პორტალზე ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების ვალდებულება და მათ უნდა უზრუნველყონ საკუთარ ვებგვერდების საშუალებით ანგარიშების საჯაროობა. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს საკუთარ ვებგვერდზე განთავსებული აქვს დაწესებულების ფინანსური ანგარიშები წლების მიხედვით, რომლებსაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტები გაეცნენ ვიზიტის ფარგლებში და დეტალები დააზუსტეს დაწესებულების მატერიალურ მენეჯერთან და შესყიდვების მენეჯერთან ინტერვიუთი. მათი განმარტებით სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ხორციელდება წინა წლის ფინანსური სიტუაციის ანალიზი, ასევე, ყოველი წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების პარამეტრები და ანგარიში ქვეყნდება ვებგვერდზე www.gu.edu.ge. დაწესებულება ყოველი წლის იანვარში ანგარიშს წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

4. დაწესებულება საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად გეგმავს შემდეგი წლის აქტივობების გათვალისწინებით ბიუჯეტის შემუშავებას და ყოველი წლის ივლისში წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის პროექტს იმ მოცულობით, რომელიც დასტურდება წინა წლების ფინანსური ანალიზით, რის შემდეგაც სამინისტროსთან ერთობლივი მუშაობის შედეგად ყოველი წლის დასაწყისში ხდება მისი დამტკიცება. განხილული იქნა რა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ წინა წლების კოლეჯის დაფინანსების, ხარჯებისა და შემოსავლების დინამიკა, წყაროები, **შესაბამისად, დაგინდა, რომ დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
2. პროფესიული პროგრამების ბიუჯეტი;
3. ფინანსური ანგარიშები;
4. დაწესებულების სტარტეგიული და სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

5. დაფინანსების დინამიკა;
6. სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
7. დაწესებულების ვებ-გვერდი - www.gu.edu.ge.
8. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“

პროგრამის სახელწოდება	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0731
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	მის: ქ.გორი აღმაშენებლის N124
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია“რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით. პროგრამა **„ზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“** შემუშავებულ იქნა აღნიშნული წესის (მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა) შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, რომ მათ მიერ მუდმივად ხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, დამსაქმებლებთან მუდმივი თანამშრომლობით აზუსტებენ მათ საჭიროებებს. ასევე იყენებენ სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს. გადაწყვეტილების დროს ასევე ითვალისწინებენ დაინტერესებულ პირთა მომართვიანობის ანალიზის შედეგებს.

დაწესებულება განსახილველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 2020 წლიდან და გადაწყვეტილება მისი განხორციელების შესახებ ასევე ეფუძნება რეგიონის მოთხოვნების შესაბამის დასაბუთებას, კერძოდ, ხაზი გაესვა მის საზღვრისპირა მდებარეობიდან გამომდინარე გაზრდილ საჭიროებებს აზომვითი სამუშაოების დაკვეთებზე,

უნივერსიტეტი არის მრავალპროფილიანი და მისი მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება,მაღალი ხარისხის პროფესიულ განათლების შესაძლებლობის შეთავაზება, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს. ასევე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით(#29-33; 28 მაისი 2018) დამტკიცებულ „2018 – 2024 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმაში“ ერთ-ერთი ამოცანაა საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შეთავაზება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, დასტურდება რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“ განხორციელების გადაწყვეტილება დაეფუძნა შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას და შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ დაშვების წინაპირობად შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სრული ზოგად განათლება.
   დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64). რაც არეგულირებს ჩარიცხვის პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 თებერვლის №27/ნ და 2022 წლის 25 მარტის 44/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად (ცვლილებები დამტკიცებული 18.04.2022 ბრძანება N 10-02).

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ ითვალისწინებს: პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას, ტესტირებას, გასაუბრებას, განმეორებით შეფასებას, აპელაციას, სსსმ აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურას, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვას, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებას, პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენ დოკუმენტაციას.

ყოველივე აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნით, უნარებითა ან/და გამოცდილებით პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც ადასტურებს რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

3. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ზემოაღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად და შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს (ჯგუფში 10-10 პროფესიული სტუდენტი თითო მიღებაზე), რაც ადასტურებს რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

4. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ გათვალისწინებული როგორც მატერიალური, ისე საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 21 მაისი N6-19 დადგენილებით, ხოლო მოდიფიცირებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 25 თებერვლის № 6-10 დადგენილებით, რაც შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციასთან, რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით და მასში გაწერილია პროგრამის დამტკიცების წესი, შესაბამისად იგი დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებას „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“, სახელწოდება ასახავს პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს და უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა ძირითადი ინფორმაცია. მოდულები შესაბამისად ადაპტირებულია, მათში მითითებულია განმახორციელებლები, ასევე, პროგრამის პაკეტი მოიცავს სასწავლო გეგმას, რომელშიც დაცულია როგორც მოდულების წინაპირობები, ასევე, პროფესიული სტუდენტის განმეორებითი შეფასებისთვის განსაზღვრული დროის ინტერვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით შესაძლებელია დაწესებულებას განმავითარებელი სახით მიეცეს რეკომენდაცია, რომ პროგრამის ადმინისტრირებას მეტად გაამარტივებს თუ პრერეკვიზიტი მოდულის შემდეგ დაცული იქნება არა ერთკვირიანი, არამედ ორკვირიანი შუალედი პროფესიული სტუდენტისთვის განმეორებითი შეფასების უზრუნველყოფისთვის. აგრეთვე, დაწესებულებამ სასურველია მოახდინოს შესაბამისი წესების დაცვით პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში ცვლილების ინიცირება, რათა მოდულის „პრაქტიკული პროექტი ამზომველ-ტოპოგრაფისთვის“ წინაპირობა, რომელიცაა „პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოდული“ დაზუსტდეს და მიეთითოს „ყველა პროფესიული მოდული“, ვინაიდან არსებული წინაპირობის დაცვა პროფესიული პროგრამის უწყვეტად განხორციელების პირობით შეუძლებელია, და ამასთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ხორციელდება ისეთი ზოგადი სავალდებულო მოდულებიც, რომელიც არ არის აღნიშნული მოდულის ლოგიკური წინაპირობა.</u>

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, **წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 21 მაისი N6-19 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილება - 2021 წლის 25 თებერვლის N 6-10 დადგენილება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64, ცვლილება -18.04.2022 ბრძანება N 10-02);
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 მაისი N6-19 და 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილებები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.gu.edu.ge/ge/;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ინტერვიუს შედეგები.

.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 10 პროფესიული სტუდენტი თითო მიღებაზე, საერთო კვოტით სულ 20 პროფესიული სტუდენტი) მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება შესყიდვის დოკუმენტების შესწავლითა და ვიზუალური დათვალიერებით. აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოწყობილია 10 პროფესიული სტუდენტისთვის A/ B/ C ინტეგრირებული გარემო. პროგრამის განხორციელებისთვის გარემო განკუთვნილია როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. კერძოდ, აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, ინდივიდუალური კომპიუტერებით (10 ერთეული პროფესიული სტუდენტისთვის და 1 ერთეული პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის), პრინტერით, პროექტორით და ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დანართით წარმოდგენილი ხელსაწყოებითა და აღჭურვილობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმები შპს ,,მალხაზ პაიჭაძესთან“ , სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოსთან და შპს ,,გეოსთან“, თითოეულში მითითებული პროფესიული სტუდენტის რაოდენობაა არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტისა, ჯამში არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტისთვის. მემორანდუმები გაფორმებულია უვადოდ მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტა პროგრამაზე შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს, ერთი ჯგუფის დაკომპლექტება ხდება 10 პროფესიული სტუდენტით წელიწადში ერთი ჯგუფის მიღებისთვის, შესაბამისად, გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა მიღებისთვის იგი საკმარისია. პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების ინფორმაციით სხვა პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის პრაქტიკული შედეგების მიღწევა ხორციელდება კოლეჯის მფლობელობაში არსებული ინვენტარით საველე პირობებში.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული სასწავლო გარემოს, აღჭურვილობისა და ინვენტარის დათვალიერება, მათი ფლობის დოკუმენტაციის შესწავლა, გასაუბრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულის განმახორციელებელ პირთან და მათ მიერ დადასტურდა არსებული პროფესიული სტუდენტებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკმარისობა პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისთვის. **აქედან გამომდინარე, განსახილველი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 16 პირთან, მათ შორის 8 პროფესიული განათლების მასწავლებელთან პროფესიული მოდულებისა და 8 პროფესიული განათლების მასწავლებელთან ზოგადი და საერთო პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კვირეული საათობრივი დატვირთვა და ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ გააჩნიათ შესაბამისი მოდულების განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს. ამასთან, მათი მოდულების განხორციელების კომპეტენციისა და დარგებში გამოცდილების მიხედვით ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება ექსპერტთა მიერ მათი პირადი საქმეების გადამოწმებისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგების მიხედვით. გამომდინარე აღნიშნულიდან, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმის გადამოწმებით და ვიზიტის ფარგლებში გასაუბრები. იგი წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

დარგის წარმატებულ პრაქტიკოს მუშაკს, რომელსაც კარგად აქვს გააზრებული პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. უნივერსიტეტის მარეგულირებელიო დოკუმენტების მიხედვით მისი ფუნქციაა ჩაერთოს პროგრამის განხორციელების ნაწილში, ვერიფიკაციასა და მასწავლებლების საჭიროებების მიხედვით განახორციელებულ მხარდაჭერის ღონისძიებებში, ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და სხვ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით დაწესებულების ვებგვერდზე, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტონული და მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საბიბლიოთეკო რესურსების გადამოწმება პროფესიული პროგრამის ფარგლებში, გასაუბრება ბიბლიოთეკართან, დასტურდება, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო რესურსით და შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. ექსპერტთა მოსაზრებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

7. პროგრამა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, მასალა ნედლეულის ხარჯს, კომუნალურ გადასახადებს, ძირითადი გადასახადებსას და სხვა ხარჯებს. რენტაბელობა განსაზღვრულია 10 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა მოსაზრებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 21 მაისი N6-19 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილება - 2021 წლის 25 თებერვლის N 6-10 დადგენილება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიულ განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები https://gu.edu.ge/ge/library;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს. პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში. დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას; პროგრამის შეფასების მექანიზნი ასევეითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

დამსაქმებლების გამოკითხვა. შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტთა მოსაზრებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;

2. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიციირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების ცენტრს. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით. ექსპერტთა მოსაზრებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებული ,,კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს და15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერს. ავტორიზაციის ესპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო ცხრილები და დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება რექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძელზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნას განმეორებით შეფასებაზე გასვლის პრობლემა. შესაბამისად, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამის მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე, დაწესებულების ძალებით. სისტემატურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ტარდება ტერენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება რექტორი ბრძანებით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, გაცნობითი პრაქტიკის მოდულის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება დაწესებულების შესაბამის პარტნიორ კომპანიაში, სადაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები შპს ,,მალხაზ პაიჭაძესთან“, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოსთან და შპს ,,გეოსთან“. თითოეულში მითითებული პროფესიული სტუდენტის რაოდენობაა არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტისა, სულ 15 პროფესიული სტუდენტისთვის, რაც ჯამში თითო ნაკადზე მისაღები 10 პროფესიული სტუდენტისთვის საკმარისია. მემორანდუმები გაფორმებულია უვადოდ მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. ექსპერტთა მოსაზრებით, **დასტურდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

6. პროგრამა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებას სპეციალური უსაფრთხოების წესების დაცვას, შესაბამისად, დაცულია ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 16 ოქტომბერს ბრძანებით N 1-98 და გამოკრულია სასწავლო გარემოში, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 21 მაისი N6-19 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილება - 2021 წლის 25 თებერვლის N 6-10 დადგენილება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

- ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. დაწესებულებაში დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებულია განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს და სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ერთდროულად დადასტურება. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესი მოდულისთვის ,,ობიექტის ფოტოვიზუალიზაცია ამზომველ-ტოპოგრაფისტისთვის“ დადგენილი წესების დაცვით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით; დაწესებულებაში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდნტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას. დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიულ სტუდენტების მიღწევების ანალიზი, რომელსაც მათი შემდგომი განვითარებისათვის. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი https://gu.edu.ge/uploads/other/11/11161.pdf;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ: 20 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -„ საფინანსო სერვისები“

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.გორი , დ. აღმაშენებლის ქ. N124
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია“რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით. პროგრამა **„საფინანსო სერვისები“** შემუშავებულ იქნა აღნიშნული წესის (მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა) შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

   დაწესებულება განსახილველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 2019 წლიდან. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, რომ მათ მიერ მუდმივად ხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, დამსაქმებლებთან მუდმივი თანამშრომლობით აზუსტებენ მათ საჭიროებებს. ასევე იყენებენ სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს. გადაწყვეტილების დროს ასევე ითვალისწინებენ დაინტერესებულ პირთა მომართვიანობის ანალიზის შედეგებს.

   სასწავლო უნივერსიტეტი არის მრავალპროფილიანი და მისი მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება,მაღალი ხარისხის პროფესიულ განათლების შესაძლებლობის შეთავაზება, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს. ასევე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით(#29-33; 28 მაისი 2018)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

დამტკიცებულ „2018 – 2024 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმაში“ ერთ-ერთი ამოცანაა საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შეთავაზება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, დასტურდება რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელების გადაწყვეტილება დაეფუძნა შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას და შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„საფინანსო სერვისები“** დაშვების წინაპირობად შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია ზოგად განათლება.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64). რაც არეგულირებს ჩარიცხვის პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 თებერვლის №27/ნ და 2022 წლის 25 მარტის 44/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად (ცვლილებები დამტკიცებული 18.04.2022 ბრძანება N 10-02).
სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ ითვალისწინებს: პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას, ტესტირებას, გასაუბრებას, განმეორებით შეფასებას, აპელაციას, სსსმ აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურას, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვას, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებას, პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენ დოკუმენტაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

ყოველივე აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნით, უნარებითა ან/და გამოცდილებით პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც ადასტურებს რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

3. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით. დასაშვებია სხავდასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას ამლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ზემოაღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად და შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს ორ ცვლაში, რაც ადასტურებს რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;**

4. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „საფინანსო სერვისები“ გათვალისწინებული როგორც მატერიალური, ისე საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 1 აპრილის N6-23 დადგენილებით (ცვლილებები შევიდა აკადემიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

საბჭოს 11.04.2022 N6-20 დადგენილებით), რაც შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციასთან, რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით და მასში გაწერილია პროგრამის დამტკიცების წესი, შესაბამისად იგი დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებას „საფინანსო სერვისები“, სახელწოდება ასახავს პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს და უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა ძირითადი ინფორმაცია. მოდულები შესაბამისად ადაპტირებულია, მათში მითითებულია განმახორციელებლები, ასევე, პროგრამის პაკეტი მოიცავს სასწავლო გეგმას, რომელშიც დაცულია როგორც მოდულების წინაპირობები, ასევე, პროფესიული სტუდენტის განმეორებითი შეფასებისთვის განსაზღვრული დროის ინტერვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 1 აპრილი N6-23 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილებები შევიდა აკადემიური საჭოს 11.04.2022 წლის N 6-20 დადგენილებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სევისები“;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64, ცვლილება -18.04.2022 ბრძანება N 10-02);
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 აპრილი N6-23 (ცვლილება შევიდა 11.04.2022 N 6-20) და 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილებები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. გორის აღმაშენებლის ქ.N124 ლოკაციაზე. დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტებმა დაათვალიერეს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. დაწესებულების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; (ჯგუფში 20 პროფ სტუდენტი.სულ 40 სტუდენტი - ორ ცვლაში). ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწესებულების მიერ საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების რაოდენობა შეესაბამება პსდ-ს მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. A, B და C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ: A - B (აუდიტორია N313, IV კორპუსი, აღმაშენებლის ქ.N124, ქ.გორი) გარემოში განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი. გარემო განკუთვნილია როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, ინდივიდუალური კომპიუტერებით (20 ერთეული (20+1), კომბაინი (პრინტერი, ასლგადამღები, სკანერის ფუნქციით), პროექტორით, გამომთვლელით, ლუპით, ფულის ულტრაიისფერი დეტექტორით, ფულის სათვლელი მანქანით, საინკასაციო ჩანთის მულაჟით, ფასეულობებისთვის ქისის მულაჟით, შტამპებით (ტვიფრებით: ნომრით, „განაღდებულია“, „არ ექვემდებარება დაბრუნებას“, „ასლი დედანთან სწორია“), თემატური თვალსაჩინოებები (შემოსავლისორდერი; ბალანსგარეშე შემოსავლის ორდერის ფორმა; გასავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

ორდერი; საინკასაციო ნუსხის ფორმა; ბალანსგარეშე გასავლის საბუთის ფორმა; ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა), ბანდეროლის მულაჟი, ფულისა დაა სხვა ფასეულობების მულაჟი, სხვადასხვა პროდუქტის მულაჟი/იმიტაცია. ექპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შემოწმებული აღნიშნული მატერიალური რესურსის შეძენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები.

დაწესებულებას პროფესიული პროგრამის „საფინანსო სერვისები“ მოდულის „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“ სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება სს „ლიბერთი ბანკი“ - თან. ასევე, მოდულის „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ და „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“ პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება რომელიც თარიღდება 2021 წლის 23 ივნისით. სავაჭრო ორგანიზაციებთან - შ.პ.ს „მონტე“, შ.პ.ს „ქება 2010“, შ.პ.ს „სმაილი“. ექსპერტებთან გასაუბრებისას მოქმედმა და კურსდამთავრებულმა სტუდენტებმა დაადასტურეს რომ პრაქტიკის ობიექტზე აქტიურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა სამუშაო პროცესში. პრაქტიკის ობიექტზე რომელთა მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს მოდულის პრაქტიკული კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საფინანსო სერვისები“ , დაწესებულებას შერჩეული ჰყავს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 6 მათგანი განსაზღვრულია ზოგად მოდულებზე, ხოლო 3 - პროფესიულ მოდულებზე. ექსპერტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

მოთხოვნისამებრ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დამტკიცებული პროგრამის დანართის (განმახორციელებლის შესახებ) მიხედვით, პროფესიული მოდულები გადანაწილებულია ზემოთხსენებულ 3 პროფესიულ განათლების მასწავლებელზე იმგვარად, რომ თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მხოლოდ 1 განმახორციელებელი. შედეგად, მოდულზე „საწარმოო პრაქტიკა-საფინანსო სერვისები“ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კვირეული საკონტაქტო დატვირთვის - 33-ე კვირას 30 საათი, 34-ე კვირას 28 საათი. ორ ცვლაში ერთი პროფესიულ განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელება იწვევს დასაქმებულის კვირეული მაქსიმალური დატვირთვის - 40 საათის გადაჭარბებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ვინაიდან პროგრამაზე შერჩეული პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს აქვთ პროგრამით გათვალისწინებული ყველა პროფესიული მოდულის განხორციელების კომპეტენცია, მათი რესურსი გამოიყენება იმგვარად, რომ არ დგება საათობრივი გადაჭარბების გარემოება, რაც დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, რეგულირდება ალტერნატიული პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის შესაბამის მოდულზე შეთანხმების გაფორმების გზით. ექსპერტების შეფასებით, პროფესიული მოდულების სამივე განმახორციელებელს გააჩნია შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება პროგრამით გათვალისწინებული ყველა პროფესიული მოდულის სწავლებისა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობის უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით, განმახორციელებლის შესახებ ინფორმაციის მატარებელ დანართში თითოეულ მოდულზე მიეთითოს ყველა ის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, რომლებთანაც კოლეჯს გააჩნია შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული **პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

3.დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამაში ჩართულ თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ტრენინგებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. საუბრისას განმარტეს თუ როგორ ასრულებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. შემოწმებული იქნა შეფასების ინსტრუმენტი. ექსპერტების მიერ მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია შეფასების მიმართულება- გამოკითხვის დროს გამოიუენონ ერთი მეთოდი (ტესტი/ზეპირი გამოკითხვა) პრაქტიკული დავალება დაკვირვების დროს მოახდინონა დავალების ინსტრუქციის შესაბამისად, დაკვირვების ფურცელში შეფასების კრიტერიუმების ჩაშლა.

დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება მარეგულირებელი დებულების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ის აქტიურად იყო ჩართული პროგამის ადაპტირების ეტაპზე და მუდმივად უწევს კონსულტაციას პროფესიული განათლების მასწავლებლებს კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

შემუშავების პროცესში, ასევე აქტიურად უწევს კონსულტაციას მოქმედ და ყოფილ სტუდენტებს, გასაუბრებისას აღნიშნა რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის სურს საგანმანათლებრო რესურსში ლიტერატურის დამატება. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა მისი პირადი საქმე, მათ შორის ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებას აქვს პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით, რაც დადასტურდა ბიბლიოთეკართან გასაუბრების დროს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://gu.edu.ge/ge/library). ასევე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში მატერიური სახით და CD დისკებზე და კომპიუტერშიც ჩაწერილია ელექტრონული მასალა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. ვიზუალური დათვალიერებისას გადამოწმდა პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა, როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონულად. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. შემოწმებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი და ასევე დაგვიდასტურეს სტუდენტებმა რომ საჭიროების შემთხვევაში სარგებლობდნენ ბიბლიოთეკაში განთავსებული სასწავლო რესურსით. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, მტკიცდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

7.პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. შემოსავლების ნაწილში ვაუჩერი განისარვრება 20 პროფესიულ სტუდენტზე და პროგრამული დაფინანსება ჯამში -41280 ლარია. ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია ამ პროგრამის მიზნებისთვის პირდაპირ გასაწევი და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ხარჯები.ხარჯების ნაწილი მოიცავს: პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება

(სულ-15675, ბიუჯეტის 75%) ,ძირითადი საშუალებების ცვეთა წლიური(სულ-2829,ბიუჯეტის-13,5%), კომუნალური გადასახადები (სულ-1790,ბიუჯეტის- 8,6%), მასალა და ნედლეული (სულ-300,ბიუჯეტის-17%), სხვა ხარჯები(სულ-200,ბიუჯეტის-1%) . რენტაბელობის ზღვარი არის 10 სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

- პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმე, გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- განაცხადის დანართი 3 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- განაცხადის დანართი 4 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- ვებ-გვერდით www.gu.edu.ge;
- ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსი;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით;
- განაცხადის დანართი 5- პროგრამის ბიუჯეტით;
- გაფორმებული ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- შეფასების ისნტრუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს. პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში. დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას; პროგრამის შეფასების მექანიზნი ასევეითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო პროგრამა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

2. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების ცენტრს. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საოფისე სერვისები" ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის" ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს და15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერს. ავტორიზაციის ესპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო ცხრილები და დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება რექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძველზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნას განმეორებით შეფასებაზე გასვლის პრობლემა. შესაბამისად, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. გამოიყენება თანამედროვე კომპიუტერული პროგრამა „ორისი“. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ აქვთ საბუღალტრო სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, კარგად ფლობენ დარგში არსებულ ტექნოლოგიებს,სხვადასხვა საბუღალტრო პროგრამებს. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიურებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები, პრაქტიკული დავალებებისთვის საჭირო მატერიალური ფორმები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. **შესაბამისად გამოიყენებული სწავლების შესაბამისი სწავლის მეთოდები და ტექნოლოგიები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.**

4.პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება რექტორი ბრძანებით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, გაცნობითი პრაქტიკის მოდულის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება დაწესებულების შესაბამის პარტნიორ კომპანიაში, სადაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები სავაჭრო ორგანიზაციებთან - შ.პ.ს „მონტე“, შ.პ.ს „ქება 2010“, შ.პ.ს „სმაილი“. ექსპერტთა მოსაზრებით, **დასტურდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

6.პროგრამა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებას სპეციალური უსაფრთხოების წესების დაცვას, შესაბამისად, დაცულია ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 16 ოქტომბერს ბრძანებით N 1-98 და გამოკრულია სასწავლო გარემოში, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 1 აპრილი N6-23 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. დაწესებულებაში დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებულია განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს და სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

ერთდროულად დადასტურება. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესი დადგენილი წესების დაცვით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით; დაწესებულებაში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდნტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას. დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიულ სტუდენტების მიღწევების ანალიზი, რომელსაც იყენებენ მათი შემდგომი განვითარებისათვის. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი https://gu.edu.ge/uploads/other/11/11161.pdf;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ: 40 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

დასაბუთება

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“

პროგრამის სახელწოდება	საოფისე საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0415
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.გორი , დ. აღმაშენებლის ქ. N124

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	89

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია“რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით. პროგრამა **„საოფისე საქმე“** შემუშავებულ იქნა აღნიშნული წესის (მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა) შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

დაწესებულება განსახილველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 2021 წლიდან. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, რომ მათ მიერ მუდმივად ხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, დამსაქმებლებთან მუდმივი თანამშრომლობით აზუსტებენ მათ საჭიროებებს. ასევე იყენებენ სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს. გადაწყვეტილების დროს ასევე ითვალისწინებენ დაინტერესებულ პირთა მომართვიანობის ანალიზის შედეგებს.

სასწავლო უნივერსიტეტი არის მრავალპროფილიანი და მისი მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება,მაღალი ხარისხის პროფესიულ განათლების შესაძლებლობის შეთავაზება, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს. ასევე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით(#29-33; 28 მაისი 2018) დამტკიცებულ „2018 – 2024 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმაში“ ერთ-ერთი ამოცანაა საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შეთავაზება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, დასტურდება რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ განხორციელების გადაწყვეტილება დაეფუძნა შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას და შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

2.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საოფისე საქმე“ დაშვების წინაპირობად შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სრული ზოგად განათლება.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64). რაც არეგულირებს ჩარიცხვის პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 თებერვლის №27/ნ და 2022 წლის 25 მარტის 44/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად (ცვლილებები დამტკიცებული 18.04.2022 ბრძანება N 10-02).

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ ითვალისწინებს: პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას, ტესტირებას, გასაუბრებას, განმეორებით შეფასებას, აპელაციას, სსსმ აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურას, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვას, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებას, პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენ დოკუმენტაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ყოველივე აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნით, უნარებითა ან/და გამოცდილებით პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც ადასტურებს რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

3. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

50%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "საოფისე საქმე" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ზემოაღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად და შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს, რაც ადასტურებს რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;**

4. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „საოფისე საქმე" გათვალისწინებული როგორც მატერიალური, ისე საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე" არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 1 აპრილი N6-23 დადგენილებით, რაც შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციასთან, რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით და მასში გაწერილია პროგრამის დამტკიცების წესი, შესაბამისად იგი დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებას „საოფისე საქმე“. სახელწოდება ასახავს პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს და უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა ძირითადი ინფორმაცია. მოდულები შესაბამისად ადაპტირებულია, მათში მითითებულია განმახორციელებლები, ასევე, პროგრამის პაკეტი მოიცავს სასწავლო გეგმას, რომელშიც დაცულია როგორც მოდულების წინაპირობები, ასევე, პროფესიული სტუდენტის განმეორებითი შეფასებისთვის განსაზღვრული დროის ინტერვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 1 აპრილი N6-23 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 აპრილის N6-23 და 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილებები;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64, ცვლილება -18.04.2022 ბრძანება N 10-02);
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.gu.edu.ge/ge/;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

1.სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს აქვს ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი, რაც გამოიყენება სასწავლო უნივერსიტეტის მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება ავტორიზაციის გზით დამატების მიზნით წარდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „საოფისე საქმე“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწესებულების მიერ საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების რაოდენობა შეესაბამება პსდ-ს მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. A, B და C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით გათვალის-წინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ: A - B (აუდიტორია N208, IV კორპუსი, აღმაშენებლის ქ.N124, ქ.გორი) გარემოში განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (ერთ ცვლაში), რომელიც განკუთვნილია როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, ინდივიდუალური კომპიუტერებით (21 ერთეული (20+1), პრინტერითა და პროექტორით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შემოწმებული აღნიშნული მატერიალური რესურსის შეძენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები.

ჩარჩო დოკუმენტით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა „საოფისე საქმე“, პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გორის მუნიციპალიტეტი მერიასთან , გორის მუნიციპალიტეტი საკრებულოსთან, სსიპ ქ.გორის №4 საჯარო სკოლასთან , რომელთა მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პრაქტიკულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

კომპონენტზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან და ასევე ყოფილ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა რომ პროფესიული სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი საოფისე საქმიანობაში, **ექსპერტთ შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 5 განსაზღვრულია ზოგად მოდულებზე, ხოლო 8 - პროფესიულ მოდულებზე. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამის „საოფისე საქმე“ განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამაში ჩართულ თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ტრენინგებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა შეფასების ინტრუმენტი. **დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4 .დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება მარეგულირებელი დებულების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ის აქტიურად იყო ჩართული პროგამის ადაპტირების ეტაპზე და მუდმივად უწევს კონსულტაციას პროფესიული განათლების მასწავლებლებს კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში, ასევე აქტიურად უწევს კონსულტაციას მოქმედ და ყოფილ სტუდენტებს. დაწესებულებიაში ვიზიტისას გადამოწმდა მისი პირადი საქმე, მათ შორის ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებას აქვს პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით, რაც დადასტურდა ბიბლიოთეკართან გასაუბრების დროს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://gu.edu.ge/ge/library). ასევე ხელმისაწვდომია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

ბიბლიოთეკაში მატერიური სახით და CD დისკებზე და კომპიუტერშიც ჩაწერილია ელექტრონული მასალა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. ვიზუალური დათვალიერებისას გადამოწმდა პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა, როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონულად. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. შემოწმებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი და ასევე დაგვიდასტურეს სტუდენტებმა რომ საჭიროების შემთხვევაში სარგებლობდნენ ბიბლიოთეკაში განთავსებული სასწავლო რესურსით. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

6.დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, მტკიცდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი.პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. შემოსავლების ნაწილში ვაუჩერი განისარვრება 20 პროფესიულ სტუდენტზე და პროგრამული დაფინანსება ჯამში 46600 ლარია. ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია ამ პროგრამის მიზნებისთვის პირდაპირ გასაწევი და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ხარჯები.ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასი (სულ-17085, ბიუჯეტის 39%) , ძირითადი საშუალებების ცვეთა წლიური(სულ-7000,ბიუჯეტის-15%), კომუნალური გადასახადები (სულ-3900,ბიუჯეტის- 20%), მასალა და ნედლეული (სულ-1000,ბიუჯეტის-13%), სხვა ხარჯები(სულ-1000,ბიუჯეტის- 31%) .რენტაბელობის ზღვარი არის 15 სტუდენტი. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია
- პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმე, გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- განაცხადის დანართი 3 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- განაცხადის დანართი 4 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- ვებ-გვერდით www.gu.edu.ge;
- ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსი;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით;
- განაცხადის დანართი 5- პროგრამის ბიუჯეტით;
- გაფორმებული ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- შეფასების ინსტრუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნვერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს. პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში. დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას; პროგრამის შეფასების მექანიზნი ასევეითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო პროგრამა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

2. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების ცენტრს. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს და15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერს. ავტორიზაციის ესპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო ცხრილები და დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. .დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება რექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძელზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნას განმეორებით შეფასებაზე გასვლის პრობლემა. შესაბამისად, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3 „საოფისე საქმის“ პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ აქვთ საოფისე საქმეში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, კარგად ფლობენ დარგში არსებულ ტექნოლოგიებს,სხვადასხვა საოფისე პროგრამებს. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიურებით, ასევე სასწავლო პროცესზე დასწრების ანალიზით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. შესაბამისად გამოიყენებული სწავლების შესაბამისი სწავლის მეთოდები და ტექნოლოგიები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება რექტორი ბრძანებით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

5.დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, გაცნობითი პრაქტიკის მოდულის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება დაწესებულების შესაბამის პარტნიორ კომპანიაში, სადაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები - გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან , გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, სსიპ ქ.გორის №4 საჯარო სკოლასთან. ექსპერტთა მოსაზრებით, **დასტურდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.პროგრამა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებას სპეციალური უსაფრთხოების წესების დაცვას, შესაბამისად, დაცულია ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 16 ოქტომბერს ბრძანებით N 1-98 და გამოკრულია სასწავლო გარემოში, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 1 აპრილი N6-23 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. დაწესებულებაში დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებულია განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს და სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესი დადგენილი წესების დაცვით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით; დაწესებულებაში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდნტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას. დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიულ სტუდენტების მიღწევების ანალიზი, რომელსაც იყენებენ მათი შემდგომი განვითარებისათვის. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი https://gu.edu.ge/uploads/other/11/11161.pdf;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ: 20 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.გორი , დ. აღმაშენებლის ქ. N124
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია“რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით. პროგრამა **„ბუღალტრული აღრიცხვა“** შემუშავებულ იქნა აღნიშნული წესის (მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა) შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

   დაწესებულება განსახილველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 2021 წლიდან. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, რომ მათ მიერ მუდმივად ხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, დამსაქმებლებთან მუდმივი თანამშრომლობით აზუსტებენ მათ საჭიროებებს. ასევე იყენებენ სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს. გადაწყვეტილების დროს ასევე ითვალისწინებენ დაინტერესებულ პირთა მომართვიანობის ანალიზის შედეგებს.

   უნივერსიტეტი არის მრავალპროფილიანი და მისი მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება,მაღალი ხარისხის პროფესიულ განათლების შესაძლებლობის შეთავაზება, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს. ასევე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით(#29-33; 28 მაისი 2018) დამტკიცებულ „2018 – 2024 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმაში“ ერთ-ერთი ამოცანაა საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შეთავაზება.

   ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, დასტურდება რომ პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

აღრიცხვა“ განხორციელების გადაწყვეტილება დაეფუძნა შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას და შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ დაშვების წინაპირობად შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სრული ზოგად განათლება.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64). რაც არეგულირებს ჩარიცხვის პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 თებერვლის №27/ნ და 2022 წლის 25 მარტის 44/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად (ცვლილებები დამტკიცებული 18.04.2022 ბრძანება N 10-02).

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ ითვალისწინებს: პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას, ტესტირებას, გასაუბრებას, განმეორებით შეფასებას, აპელაციას, სსსმ აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურას, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვას, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებას, პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენ დოკუმენტაციას.

ყოველივე აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნით, უნარებითა ან/და გამოცდილებით პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც ადასტურებს რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

3. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით. დასაშვებია სხავდასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ზემოაღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად და შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს, რაც ადასტურებს რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;**

4. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „საბუღალტრო აღრიცხვა“ გათვალისწინებული როგორც მატერიალური, ისე საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბუღალტრო აღრიცხვა“ არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბუღალტრო აღრიცხვა“ დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 1 აპრილი N6-23 დადგენილებით, რაც შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციასთან, რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით და მასში გაწერილია პროგრამის დამტკიცების წესი, შესაბამისად იგი დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებას „საბუღალტრო აღრიცხვა“, სახელწოდება ასახავს პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს და უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა ძირითადი ინფორმაცია. მოდულები შესაბამისად ადაპტირებულია, მათში მითითებულია განმახორციელებლები, ასევე, პროგრამის პაკეტი მოიცავს სასწავლო გეგმას, რომელშიც დაცულია როგორც მოდულების წინაპირობები, ასევე, პროფესიული სტუდენტის განმეორებითი შეფასებისთვის განსაზღვრული დროის ინტერვალი.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 1 აპრილი N6-23 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 აპრილი N6-23 და 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილებები;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64, ცვლილება -18.04.2022 ბრძანება N 10-02);
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.gu.edu.ge/ge/;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. გორის აღმაშენებლის ქ.N124 ლოკაციაზე. დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტებმა დაათვალიერეს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. დაწესებულების მიერ საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების რაოდენობა შეესაბამება პსდ-ს მიერ მოთხოვნილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. A, B და C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით გათვალის-წინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ: A - B (აუდიტორია N302, IV კორპუსი, აღმაშენებლის ქ.N124, ქ.გორი) გარემოში განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (ერთ ცვლაში), რომელიც განკუთვნილია როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის.

აღნიშნული აუდიტორია აღჭურვილია საჭირო ინვენტარით - პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდები, სკამები, დაფა და საჭირო ტექნიკური მოწყობილობებით - ფლეშ-მეხსიერება, პრინტერი, პროექტორი და შესაბამისი მახასიათებლების მქონე პერსონალური კომპიუტერები, სადაც ჩატვირთულია (ORIS) პროგრამა (20+1 ერთეული). ექპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შემოწმებული აღნიშნული მატერიალური რესურსის შეძენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები.

ჩარჩო დოკუმენტით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“, არ არის გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის მოდული და სწავლება პრაქტიკის ობიქტზე. თუმცა დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემრანდუმი შემდეგ დაწესებულებებთან: გორის მუნიციპალიტეტის მერია, შ.პ.ს ,,გითანა“ , შ.პ.ს ,,გორელლი“, სსიპ ქ.გორის №2 საჯარო სკოლა, სსიპ ქ.გორის №4 საჯარო სკოლა ,სსიპ ქ.გორის №10 საჯარო სკოლა. დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

2.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 3 განსაზღვრულია ზოგად მოდულებზე, ხოლო 5 - პროფესიულ მოდულებზე. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამაში ჩართულ თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ტრენინგებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. საუბრისას განმარტეს როგორ ასრულებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. შემოწმებული იქნა შეფასების ინსტრუმენტი. ექსპერტების მიერ მიეცათ ზეპირსიტყვიერი რეკომენდაცია პრაქტიკული დავალების დროს მოახდინონა დავალების ინსტრუქციის შესაბამისად, პრაქტიუკული დავალების პროცედურების ჩაშლა. დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; **კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

4.დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება მარეგულირებელი დებულების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ის აქტიურად იყო ჩართული პროგამის ადაპტირების ეტაპზე და მუდმივად უწევს კონსულტაციას პროფესიული განათლების მასწავლებლებს კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში, ასევე აქტიურად უწევს კონსულტაციას მოქმედ და ყოფილ სტუდენტებს, გასაუბრებისას აღნიშნა რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის სურს საგანმანათლებრო რესურსში ლიტერატურის დამატება. დაწესებულებიაში ვიზიტისას გადამოწმდა მისი პირადი საქმე, მათ შორის ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებას აქვს პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით, რაც დადასტურდა ბიბლიოთეკართან გასაუბრების დროს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://gu.edu.ge/ge/library). ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში მატერიური სახით და CD დისკებზე და კომპიუტერშიც ჩაწერილია ელექტრონული მასალა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. ვიზუალური დათვალიერებისას გადამოწმდა პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა, როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონულად. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. შემოწმებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი და ასევე დაგვიდასტურეს სტუდენტებმა რომ საჭიროების შემთხვევაში სარგებლობდნენ ბიბლიოთეკაში განთავსებული სასწავლო რესურსით. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, მტკიცდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. შემოსავლების ნაწილში ვაუჩერი განისარვრება 20 პროფესიულ სტუდენტზე და პროგრამული დაფინანსება ჯამში -62280 ლარია. ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია ამ პროგრამის მიზნებისთვის პირდაპირ გასაწევი და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ხარჯები.ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასი (სულ-25620, ბიუჯეტის 41%) ,ძირითადი საშუალებების ცვეთა წლიური(სულ-15000,ბიუჯეტის-23%), კომუნალური გადასახადები (სულ-10000,ბიუჯეტის- 16%), მასალა და ნედლეული (სულ-700,ბიუჯეტის-0,9%), სხვა ხარჯები(სულ-600,ბიუჯეტის- 0.11%) .რენტაბელობის ზღვარი არის 16 სტუდენტი. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია ;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმე, გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- განაცხადის დანართი 3 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- განაცხადის დანართი 4 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- ვებ-გვერდით www.gu.edu.ge;
- ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსი;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით;
- განაცხადის დანართი 5- პროგრამის ბიუჯეტით;
- გაფორმებული ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

- ვიზუალური დათვალიერებით;
- შეფასების ისნტრუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

აქტიური თანამშრომლობით .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს. პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში. დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას; პროგრამის შეფასების მექანიზმი ასევეითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო პროგრამა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

2. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

შეტანა/მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების ცენტრს. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს და15 სამუშაო დღით ადრე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

წარუდგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერს. ავტორიზაციის ესპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო ცხრილები და დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება რექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძელზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნას განმეორებით შეფასებაზე გასვლის პრობლემა. შესაბამისად, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3„ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. გამოიყენება თანამედროვე კომპიუტერული პროგრამა „ორისი“. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ აქვთ საბუღალტრო სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, კარგად ფლობენ დარგში არსებულ ტექნოლოგიებს,სხვადასხვა საბუღალტრო პროგრამებს. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიურებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები, პრაქტიკული დავალებიბისთვის საჭირო მატერიალური ფორმები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. შესაბამისად გამოიყენებული სწავლების შესაბამისი სწავლის მეთოდები და ტექნოლოგიები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

სირთულეები.ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება რექტორი ბრძანებით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, გაცნობითი პრაქტიკის მოდულის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება დაწესებულების შესაბამის პარტნიორ კომპანიაში, სადაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები - გორის მუნიციპალიტეტის მერია, შ.პ.ს „გითანა“ , შ.პ.ს „გორელლი“, სსიპ ქ.გორის №2 საჯარო სკოლა, სსიპ ქ.გორის №4 საჯარო სკოლა ,სსიპ ქ.გორის №10 საჯარო სკოლა. ექსპერტთა მოსაზრებით, **დასტურდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.პროგრამა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებას სპეციალური უსაფრთხოების წესების დაცვას, შესაბამისად, დაცულია ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 16 ოქტომბერს ბრძანებით N 1-98 და გამოკრულია სასწავლო გარემოში, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 1 აპრილი N6-23 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრულუ აღრიცხვა“;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. დაწესებულებაში დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებულია განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს და სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

ერთდროულად დადასტურება. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესი დადგენილი წესების დაცვით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით; დაწესებულებაში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდნტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას. დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიულ სტუდენტების მიღწევების ანალიზი, რომელსაც იყენებენ მათი შემდგომი განვითარებისათვის. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი https://gu.edu.ge/uploads/other/11/11161.pdf;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ: 20 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საქართო განათლება“

პროგრამის სახელწოდება	საქართო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საქართო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	გორი, ბესიკის ქ. № 2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	75
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.“საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის განსაზღვრისას დაწესებულებამ გაითვალისწინა საქართველოს შრომის ბაზარზე ექთნის პროფესიაზე არსებული მოთხოვნა სხვადასხვა კვლევის საფუძველზე, კერძოდ, სოლიდარობის ქსელის მიერ ჩატარებული კვლევა „ექთნების შრომის პირობები საქართველოში“ (2019), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროფესიათა რეიტინგის კვლევა, სადაც საექთნო საქმის პროფესიონალები მზარდი პროფესიების ჩამონათვალშია მითითებული; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევა, ჯანდაცვის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე თანამედროვე მსოფლიოს ჯანდაცვის კუთხით (იგულისხმება პანდემია) პროცესის გამოწვევა, რამაც გაზარდა მოთხოვნა კვალიფიციურ, სამედიცინო ცოდნით აღჭურვილ სპეციალიტებზე ამ სფეროში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, დასტურდება რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელების გადაწყვეტილება დაეფუძნა შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას და შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

2.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ დაშვების წინაპირობად შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სრული ზოგად განათლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64). რაც არეგულირებს ჩარიცხვის პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 თებერვლის №27/ნ და 2022 წლის 25 მარტის 44/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად (ცვლილებები დამტკიცებული 18.04.2022 ბრძანება N 10-02).

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ ითვალისწინებს: პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას, ტესტირებას, გასაუბრებას, განმეორებით შეფასებას, აპელაციას, სსსმ აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურას, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვას, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებას, პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენ დოკუმენტაციას.

ყოველივე აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნით, უნარებითა ან/და გამოცდილებით პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც ადასტურებს რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

3.დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

რესურსით - ინვენტარით. დასაშვებია სხავდასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ზემოაღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად და შეადგენს 75 პროფესიულ სტუდენტს, რაც ადასტურებს რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

4.ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „საქთნო განათლება“ გათვალისწინებული როგორც მატერიალური, ისე საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საქთნო განათლება“ არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.

6.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საქთნო განათლება“ დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 13 სექტემბერი N6-38 დადგენილებით, რაც შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციასთან, რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით და მასში გაწერილია პროგრამის დამტკიცების წესი, შესაბამისად იგი დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებას „საქთნო განათლება“. სახელწოდება ასახავს პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

8.დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს და უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა ძირითადი ინფორმაცია. მოდულები შესაბამისად ადაპტირებულია, მათში მითითებულია განმახორციელებლები, ასევე, პროგრამის პაკეტი მოიცავს სასწავლო გეგმას, რომელშიც დაცულია როგორც მოდულების წინაპირობები, ასევე, პროფესიული სტუდენტის განმეორებითი შეფასებისთვის განსაზღვრული დროის ინტერვალი.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 13 სექტემბერი N6-38 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 13 სექტემბერი N6-38 და 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილებები;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64, ცვლილება -18.04.2022 ბრძანება N 10-02);
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.gu.edu.ge/ge/;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობას „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქ გორში, ბესიკის № 2 -ში მდებარე შენობა - ნაგებობაში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 2 (ორი) A გარემო და თითოეული აუდიტორია გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი ერთი B გარემო - კომპიუტერული კლასი - ლაბორატორია - 25 პროფესიულ სტუდენტზე, C გარემო - აუდიტორია აღჭურვილია სამედიცინო საწოლით/ტახტით, პროგრამის მატერიალური რესურსით გათვალისწინებული მანეკენითა და საჭირო ინსტრუმენტებით.

ყველა აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 75 პროფესიულ სტუდენტს.

თითოეულ წელს მიიღებს 25 პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო გეგმის მიხედვით პარალელური რეჟიმში, თეორიული სწავლება ერთდროულად უწევს 2 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, ანუ დაწესებულება შეუფერხებლად განახორციელებს 50 (25+25) პროფესიული სტუდენტის სწავლებას. საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, მეორე წლის მეორე ნახევრიდან სასწავლო პროცესი გრძელდება პარტნიორ კლინიკებში.

ვიზიტის პერიოდისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა 43 აქტიური პროფესიული სტუდენტი, სტატუსი შეჩერებული აქვს 1 პირს, გარე მობილობით გადავიდა 1 პირი.

საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ოთხ პარტნიორ კლინიკასთან:

1. სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი (30.12.2020) - 75 პროფესიული სტუდენტი პროგრამის ფარგლებში, ერთ ნაკადზე -25 სტუდენტი;
2. სს ,,იავნანა“ (19.05.2020) - 75 პროფესიული სტუდენტი პროგრამის ფარგლებში, ერთ ნაკადზე -25 სტუდენტი;
3. ა(ა)იპ ,,საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (22.05.2020) - 75 პროფესიული სტუდენტს; ერთ ნაკადზე -25 სტუდენტი;
4. შპს ,,გორმედი“ (19.05.2020) - 75 პროფესიული სტუდენტი პროგრამის ფარგლებში, ერთ ნაკადზე -25 სტუდენტი.

აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7(შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ერთი პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი კლინიკური სწავლებისათვის და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება.

2020 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება უნდა დაწყებულიყო 2022 წლის 7 მარტს. კლინიკის ადმინისტრაციამ უარი თქვა პროფესიული სტუდენტების მიღებაზე, იმ მიზეზით რომ პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო, კლინიკა შპს ,,გორმედი“, რომელთანაც დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კლინიკური მოდულების განხორციელების შესახებ, გადაკეთებული იყო კოვიდ-კლინიკად და შესაბამისად ვერ მიიღებდა ტენდერში მონაწილეობას.

კოვიდ რეგულაციების მოხსნის შემდეგ გორის უნივერსიტეტმა გამოაცხადა ტენდერი, რომლის დასრულების თარიღია 10.07.2022 წელი (11 ივლისიდან დაიწყება კლინიკური მოდულების განხორციელება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემჭიდროვებულ ვადებში განხორციელების გრაფიკი, ისე, რომ არ დაირღვევა პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი (40 საათი) და პროგრამა დასრულდება წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა პრაქტიკის ობიექტის შპს ,,გორმედის“, სს ,,იავნანას“ წარმომადგენლებთან გასაუბრება (გასაუბრება შედგა დისტანციურ ფორმატში ZOOM - ის აპლიკაციის დახმარებით), მათი მხრიდან გამოითქვა სრული მზაობა ითანამშრომლონ კოლეჯთან ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

<u>ექსპერტის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დანართის სახით ახლდეს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა.</u>

2.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ირკვევა, რომ „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის ზოგადი მოდულები - 4 (საინფორმაციო ტექნოლოგია, უცხო ენა, კომუნიკაცია, ქართლი ენა), თეორიული სწავლებისათვის - 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმას.

კლინიკური და პრაქტიკული სწავლებისათვის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პირებს გამოყოფს კლინიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.ვიზიტის დროს მოხდა „საქართო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შემოწმება (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

შედგა გასაუბრება „ანატომია ფიზიოლოგია“, ,,მიკრობიოლოგია“, ,,პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)“, ,,ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში“ და ,,საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში“ მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს ზოგადად აქვს სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

.4აკადემიური საბჭოს 2022 წლის 11 აპრილის № 6-23 დადგენილებით დამტკიცებულია „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, კვალიფიკაცია - ექიმი. პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებით (2016 წლიდან-დღემდე), საექთნო საქმის დარგობრივი კომპეტენციების უნარების ფლობით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დოკუმენტაცია აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე, ჩართულია პროგრამის განხორციელების პროცესში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრება პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.ვიზიტის ფარგლებში მოხდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება, ბიბლიოთეკართან გასაუბრება და „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების გადამოწმება. გადამოწმების შედეგად დასტუდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

დაწესებულებას აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 28.05.2020წელი № 6-27 დადგენილებით) მუხლი- 6 პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პოცედურა, სადაც აღწერილია და დასტურდება სსსმ პირების ინდივიდუალური სასწავლო გეგით გათვალისწინებულ ადაპტირებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის მექანიზმების არსებობა სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7.წარმოდგენილ „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში, აღწერილია შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის შემოსავალია ვაუჩერული დაფინანსება. კოლეჯის მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 11 პროფესიული სტუდენტით, რომლის ფარგლებშიც პროგრამის შემოსავალი 223275 (ორასოცდასამიათასორასსამოცდათხუთმეტი) ლარს შეადგენს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია სხვადასხვა ხარჯები (პოფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, კომუნალური, სასწავლო მასალის ხარჯი და სხვა). ამდენად, აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის ბიუჯეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ კლინიკებთან დადებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს. პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში. დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას; პროგრამის შეფასების მექანიზნი ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

3. დაწესებულებაში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტისინტერესებზე. სასწავლო პროცესის განხორციელება ითვალისწინებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებას, და ამ ტექნიკის გამოყენებით აუცილებელი საოფისე პროგრამების შესწავლას. ასევე, გათვალისწინებულია იმ ინტერნეტ რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული ცოდნის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთების მიღება/დასაწყობება/გაგზავნათან დაკავშირებული ინფორმაციის სისტემატიზაციას და ტრანსპორტირების მონიტორინგს. ასევე, ხორციელდება სტუდენტებისათვის სხვა და სხვა სახის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმების შესწავლა, რაც თავის მხრივ განაპირობებს დარგისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარის ფორმირებას. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამის მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე, დაწესებულების ძალებით. სისტემატურად ტარდება ტერენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება რექტორი ბრძანებით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, გაცნობითი პრაქტიკის მოდულის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება დაწესებულების შესაბამის პარტნიორ კომპანიაში, სადაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები - შპს „კავკასიის ავტოიმპორტი“ და შპს „ჯენერალ ლოგისტიკა“. ექსპერტთა მოსაზრებით, **დასტურდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

6.პროგრამა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებას სპეციალური უსაფრთხოების წესების დაცვას, შესაბამისად, დაცულია ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 16 ოქტომბერს ბრძანებით N 1-98 და გამოკრულია სასწავლო გარემოში, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 21 მაისი N6-19 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილება - 2021 წლის 25 თებერვლის N 6-10 დადგენილება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. დაწესებულებაში დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებულია განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს და სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესი დადგენილი წესების დაცვით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

3. დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით; დაწესებულებაში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდნტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას. დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიულ სტუდენტების მიღწევების ანალიზი, რომელსაც იყენებენ მათი შემდგომი განვითარებისათვის. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი https://gu.edu.ge/uploads/other/11/11161.pdf;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ: 10 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“

პროგრამის სახელწოდება	ღონისძიების ორგანიზება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.გორი , ბესიკის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	91

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია“რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით. პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ შემუშავებულ იქნა აღნიშნული წესის (მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა) შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, რომ მათ მიერ მუდმივად ხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა,დამსაქმებლებთან მუდმივი თანამშრომლობით აზუსტებენ მათ საჭიროებებს. ასევე იყენებენ სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს. გადაწყვეტილების დროს ასევე ითვალისწინებენ დაინტერესებულ პირთა მომართვიანობის ანალიზის შედეგებს.

სასწავლო უნივერსიტეტი არის მრავალპროფილიანი და მისი მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

მომზადება,მაღალი ხარისხის პროფესიულ განათლების შესაძლებლობის შეთავაზება, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს. ასევე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით(#29-33; 28 მაისი 2018) დამტკიცებულ „2018 – 2024 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმაში“ ერთ-ერთი ამოცანაა საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შეთავაზება და აქედან გამომდინარე გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ შესახებ ეფუძნებოდა რეგიონში სხვადასხვა ტიპის ღონისძიებათა ორგანიზების მიმართულებით არსებულ მოთხოვნებს, დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილ „ღონისძიების ორგანიზება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „საოფისე საქმე და ღონისძიების ორგანიზების“ შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64). რაც არეგულირებს ჩარიცხვის პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 თებერვლის №27/ნ და 2022 წლის 25 მარტის 44/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად (ცვლილებები დამტკიცებული 18.04.2022 ბრძანება N 10-02).

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ ითვალისწინებს: პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას, ტესტირებას, გასაუბრებას, განმეორებით შეფასებას, აპელაციას, სსსმ აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურას, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვას, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებას, პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენ დოკუმენტაციას.

ყოველივე აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნით, უნარებითა ან/და გამოცდილებით პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც ადასტურებს რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

3. საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობის განსაზღვრის რეგულაცია გაწერილია „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (მუხლი 15. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო პროგრამაზე) აღნიშნული წესი დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით (ცვლილებები შესულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-26 დადგენილებით) წესი ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისგან განსაზღვრას სხვადასხვა პარამეტრის გათვალისწინების საფუძველზე და პარტნიორ ორგანიზაციებში თითოეულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფის შესაძლებლობის მიხედვით. კერძოდ, მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროფესიულ სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დასაბუთებას „ღონისძიების ორგანიზების“ პროგრამისთვის, რომელიც ითვალისწინებს ინფრასტრუქტურისა და პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობებს. ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობას, სხვადასხვა ტიპის სასწავლო გარემოს გამტარობას, პრაქტიკის ობიექტთან/პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების პირობებს (რომელიც ითვალისწინებს რიგი მოდულების/შედეგების განხორციელების შესაძლებლობას და პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას),მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის რაოდენობას; პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების კვირეულ დატვირთვას; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ღონისძიების ორგანიზება“ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესზე'' დაყრდნობით სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ კვოტად განსაზღვრა 10 პროფესიული სტუდენტი.

აღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსებში მითითებულია როგორც დარგობრივი სახელმძღვანელოები/წიგნები, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ-რესურსის ბმულები. ძირითადად მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი სწავლის შედეგების რელევანტურია და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. აღნიშნული რესურსი დაცულია დაწესებულების ბიბლიოთეკაში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

დამუშავებულია შესაბამისი წესით. თუმცა, შემოწმებისას დადგინდა, რომ რიგი ინტერნეტ-რესურსის ბმულები გაუქმებულია და არ იძებნება ინფორმაცია.

განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ სისტემატიურად უნდა მოახდინოს მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ყველა ინტერნეტ-მისამართის/ბმულის შემოწმება და განახლება.

მიუხედავად ზემოთხსენებული რეკომენდაციისა, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „ღონისძიების ორგანიზება“ გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულ(ებ)ს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 12 ივლისის N6-30 დადგენილებით,შემდეგ ცვილება შესულია აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 01 აპრილის N6-23 დადგენილებით. დადგენილებას ხელს აწერს რექტორი, რაც შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციასთან, რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით და მასში გაწერილია პროგრამის დამტკიცების წესი.აღნიშნული პროგრამა დამტკიცებულია დადგენილი რეგულაციის შესაბამისად.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ღონისძიების ორგანიზება“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს ღონისძიების ორგანიზების სფეროს შესაბამის ფუნქცია– მოვალეობებსა და კომპეტენციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზების“ შემუშავების სამრთლებრივი საფუძველია „საოფისე საქმე და ღონისძიების ორგანიზების“ ჩარჩო დოკუმენტი. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს და უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა ძირითადი ინფორმაცია.

სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები, მოცემული კომპონენტი არ არის დარღვეული; სასწავლო გეგმის მიხედვით პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- პროგრამის დამტკიცების აქტი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 12

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ივლისის N6-30 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილება - 2021 წლის 01 აპრილის N 6-23 დადგენილება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ღონისძიების ორგანიზება"

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია, დამტკიცებული სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით;
- „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი" დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით (ცვლილებები შესულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-26 დადგენილებით);
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები"(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64, ცვლილება -18.04.2022 ბრძანება N 10-02);
- „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესი" დამტკიცებული რექტორის ბრძანებით N1-89 (10.11.2021);
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.gu.edu.ge/ge/;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამაზე;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კერძოდ:პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,ღონისძიების ორგანიზება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (10 პროფესიული სტუდენტი). მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით. აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოწყობილია 10 პროფესიული სტუდენტისთვის A/ B/ C ინტეგრირებული გარემო. აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, ინდივიდუალური კომპიუტერებით (10 ერთეული პროფესიული სტუდენტისთვის და 1 ერთეული პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის), პრინტერით, პროექტორით და ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დანართით წარმოდგენილი ხელსაწყოებითა და აღჭურვილობით.

პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმები 1. გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან; 2. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან; 3. შპს ,,ბავშვთა სამყაროსთან“; 4. ,,ბავშვთა და მოზარდთა გასართობ ცენტრ ცისარტყელასთან“. თითოეული მათგანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

უზრუნველყოფს მაქსიმუმ 5 პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო / საწარმო პრაქტიკის განხორციელებას. მემორანდუმები გაფორმებულია უვადოდ მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლებთან. მათ დაადასტურეს ჩართულობა წინა პროგრამის განხორციელების პროცესში და გამოთქვეს მზაობა, რომ კვლავაც ხელს შეუწყობენ პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისათვის პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას მათ მიერ მოწყობილ ღონისძიებებში,ასევე პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის „ღონისძიების ორგანიზატორი“ სტუდენტები მონაწილეობდნენ „ბავშვთა და მოზარდთა გასართობ ცენტრ ცისარტყელას“ მოერ ორგანიზებულ ღონისძიებებშიც.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 11 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. აქედან 4 პროფესიული მოდულების და 7 პროფესიული განათლების მასწავლებელთან ზოგადი და საერთო პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კვირეული საათობრივი დატვირთვა და ჩატარდა გასაუბრება განმახორციელებლებთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაშიც ჩართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

პირადი საქმეების შემოწმებისას და გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის მიზნებისთვის განსაზღვრულ ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს დარგობრივი ცოდნა/სამუშაო გამოცდილება განსავითარებელი სწავლის შედეგების ნაწილში. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების ყველა მასწავლებელს ასევე აქვს სწავლების და სტუდენტის შეფასების კომპეტენცია. შესაბამისად, ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით, დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ: ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგარმაში ჩართული თითოეული მასწავლებელის პირადი საქმე. წარმოდგენილი პირადი საქმეები მოიცავს რეგულაციით დადგენილ ყველა დოკუმენტს. პირადი საქმეების შემოწმებისას დადგინდა, რომ პროგრამის მიზნებისთვის განსაზღვრულ ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს დარგობრივი ცოდნა/სამუშაო გამოცდილება განსავითარებელი სწავლის შედეგების ნაწილში. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების ყველა მასწავლებელს ასევე აქვს სწავლების და სტუდენტის შეფასების კომპეტენცია. შესაბამისად, ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**კერძოდ:პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, განსაზღვრავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტებს, ზრუნავს პროგრამის შინაარსსა და მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში, შეფასების მტკიცებულებების შეგროვების პროცესში, პროგრამის განხორციელებისას ახორციელებს კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიულ მასწავლებელთან, ყოველკვირეულად პროფესიული მასწავლებისგან მიწოდებული ინფორმაციების საფუძველზე განიხილავს სტუდენტთა დასწრებას.

პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტი. მას უდასტურდება ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის შემუშავებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან ინტერვიურებისას.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ:პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - **„ღონისძიების ორგანიზება“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის სხვადასხვა სახით.ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო რესურსების სარგებლობის ფაქტი, წიგნადი ფონდის მოძრაობის სტატისტიკა. განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან.

6. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია (დამტკიცებული სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით) მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა ადგენს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშვების მექანიზმს, რომლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლოა შედგეს სსსმ პირისთვის, მობილობის წესით გადმოსვლისას, პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენისას, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზებულ პროგრამაზე სტუდენტის გადაყვანისას.

პროფესიული სტუდენტის ჩართულობით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაბამისი მოდულის/სასწავლო კურსის საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

დაწესებულების ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებს ბიბლიოთეკა ემსახურება მათი საჭიროების გათვალისწინებით. ასეთი საჭიროების პროფესიულ სტუდენტებს ეხმარება შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც აადვილებს პროფესიულ სტუდენტსა და ბიბლიოთეკარს შორის კომუნიკაციას. ბიბლიოთეკა მათ სთავაზობს ისეთ სერვისებს, როგორიცაა: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7.დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

კერძოდ: პროგრამა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, მასალა ნედლეულის ხარჯს, კომუნალურ გადასახადებს, ძირითადი გადასახადებსას და სხვა ხარჯებს. რენტაბელობა განსაზღვრულია 10 პროფესიული სტუდენტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 12 ივლისის N6-30 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილება - 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ღონისძიების ორგანიზება"
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- მატერიალური რესურსისა და ინვენტარის ფლობის დოკუმენტები;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა;
- პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ღონისძიების ორგანიზება;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია (დამტკიცებული სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით)
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროფესიულ განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები https://gu.edu.ge/ge/library;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან თანამშრომლობით .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროცესების შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, რაც გულისხმობს შეფასების სისტემის შეფასებას, ანუ ვერიფიკაციას,სხვადასხვა სახის გამოკითხვების ორგანიზებას, შეხვედრებს ფოკუს ჯგუფებთან და ინდივიდუალურად ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან თუ პროფესიულ სტუდენტებთან. სხვადასხვა კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება. დაწესებულება უკუკავშირის მიღების მიზნით ახორციელებს ასევე პარტნიორი ორგანიზაციებისა და დამსაქმებლების კვლევას.ასევე ახორციელებს კურსდამთავრებულთა კვლევას , რათა პროგრამის განვითრებისათვის გამოიყენოს მიღებული უკუკავშირი. ამისთვის შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

დაწესებულება აქტიურად არის ჩართული ცენტრის მიერ ორგანიზებულ თუ სხვა სახის განმავითარებელ ტრენინგებში, რათა გაითვალისწინოს საუკეთესო პრაქტიკა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ვიზიტის დროს განახორციელა ინტერვიურება პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე დაწესებულების სასწავლო პროცესის და ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები სხვა პროგრამის ფარგლებში.

2. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია (დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით) სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია.აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში „ღონისძების ორგანიზება“ შესულია ცვლილება რომელიც გამოწვეული იყო ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია (დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.** კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი სასწავლო და კალენდარული გეგმების ანალიზი ადასტურებს, რომ იგი ხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით. დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს და15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერს. სასწავლო პროცესი დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით.

2.დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულებას გაწერილი აქვს სასწავლო პროცესიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, ჩატარდა ინტერვიუები, სადაც ისინი გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიულ მასწავლებლებს. შესაბამისად, **დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ: მოდულებში გამოკვეთილია სწავლების თანამედროვე მეთოდები. პრაქტიკის ობიექტები და დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.

პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე, დაწესებულების ძალებით. სისტემატურად ტარდება ტერენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.** კერძოდ: პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების რეგულაციის თანახმად პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

პროგრამაზე „ღონისძიების ორგანიზება“ ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი დაწესებულებას არ ჰყოლია, შესაბამისად, ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროებაც არ ყოფილა.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. კერძოდ:პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმები 1. გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან; 2. გორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან; 3. შპს „ბავშვთა სამყაროსთან“; 4. „ბავშვთა და მოზარდთა გასართობ ცენტრ ცისარტყელასთან“. თითოეული მათგანი უზრუნველყოფს მაქსიმუმ 5 პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო / საწარმო პრაქტიკის განხორციელებას. მემორანდუმები გაფორმებულია უვადოდ მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ექსპერტთა აზრით, აღნიშნული დაწესებულებები უზრუნველყოფს პრაქტიკის განხორციელებას.

6.პროგრამა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებს სპეციალური უსაფრთხოების წესების დაცვას, შესაბამისად, დაცულია ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 16 ოქტომბერს ბრძანებით N 1-98 და გამოკრულია სასწავლო გარემოში, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძების ორგანიზება“ სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია;
- ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა გაწერილია სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (თავი VII).ასევე რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებულია განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. კალენდარულ გეგმასა და შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტები წინასწარ განსაზღვული ფორმის შესაბამისად. შეფასების ინსტრუმენტები შეთანხმებულია წესის შესაბამისად. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს. რეგულაციის თანახმად დაცულია და აღრიცხულია სათანადოდ შეფასების მტკიცებულებები(რომელთაც დაწესებულება ინახავს სამი წლის განმავლობაში კვალიფიკაციის მინიჭებიდან) და შეფასების უწყისები, რომლებიც ინახება სამუდამოდ.

დაწესებულებაში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, რომელთა შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დადასტურებულ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების და კურსდამთავრებულთა მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების დროს დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.კერძოდ: დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი (ბრძანება 1-47 18.06.2020) რომლის თანახმად ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა.აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად პროფესიული საგარმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ ვერიფიკაცია განხორციელდა 2020 წლის ივლის-აგვისტოში სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის შედეგად გამოიკვეთა რიგი რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომელსაც დაწესებულება გაითვალისწინებს შემდგომი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

განხორციელების დროს.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა დაშენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რომელიც ამ ინფორმაციის საფუძველზე ავსებს შეფასების უწყისს. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის. კერძოდ: პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები სტუდენტებს ეცნობებად ინდივიდუალურად. პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს საჭირო საკითხზე, შეფასების შედეგებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტების სწავლისშედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი https://gu.edu.ge/uploads/other/11/11161.pdf;
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;
- შეფასების მტკიცებულებები, უწყისები
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

- პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ: 10 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

დასაბუთება

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი”

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.გორი ბესიკის N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია“რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით. პროგრამა **„აღმზრდელი“** შემუშავებულ იქნა აღნიშნული წესის (მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა) შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

   დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, რომ მათ მიერ მუდმივად ხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, დამსაქმებლებთან მუდმივი თანამშრომლობით აზუსტებენ მათ საჭიროებებს. ასევე იყენებენ სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს. გადაწყვეტილების დროს ასევე ითვალისწინებენ დაინტერესებულ პირთა მომართვიანობის ანალიზის შედეგებს.

   სასწავლო უნივერსიტეტი არის მრავალპროფილიანი და მისი მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება,მაღალი ხარისხის პროფესიულ განათლების შესაძლებლობის შეთავაზება, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს. ასევე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით(#29-33; 28 მაისი 2018) დამტკიცებულ „2018 – 2024 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმაში“ ერთ-ერთი ამოცანაა საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შეთავაზება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, დასტურდება რომ პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

განხორციელების გადაწყვეტილება დაეფუძნა შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას და შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ დაშვების წინაპირობად შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სრული ზოგად განათლება.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64). რაც არეგულირებს ჩარიცხვის პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 თებერვლის №27/ნ და 2022 წლის 25 მარტის 44/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად (ცვლილებები დამტკიცებული 18.04.2022 ბრძანება N 10-02).

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ ითვალისწინებს: პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას, ტესტირებას, გასაუბრებას, განმეორებით შეფასებას, აპელაციას, სსსმ აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურას, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვას, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებას, პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენ დოკუმენტაციას.

ყოველივე აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნით, უნარებითა ან/და გამოცდილებით პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც ადასტურებს რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

3. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით. დასაშვებია სხავდასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ზემოაღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად და შეადგენს 50 პროფესიულ სტუდენტს, რაც ადასტურებს რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

4. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „აღმზრდელი“ გათვალისწინებული როგორც მატერიალური, ისე საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 10 ივნისი N6-39 დადგენილებით; რაც შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციასთან, რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით და მასში გაწერილია პროგრამის დამტკიცების წესი, შესაბამისად იგი დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებას „აღმზრდელი“. სახელწოდება ასახავს პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს და უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა ძირითადი ინფორმაცია. მოდულები შესაბამისად ადაპტირებულია, მათში მითითებულია განმახორციელებლები, ასევე, პროგრამის პაკეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

მოიცავს სასწავლო გეგმას, რომელშიც დაცულია როგორც მოდულების წინაპირობები, ასევე, პროფესიული სტუდენტის განმეორებითი შეფასებისთვის განსაზღვრული დროის ინტერვალი.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 10 ივნისი N6-39 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 ივნისი N6-39 და 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილებები;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64, ცვლილება -18.04.2022 ბრძანება N 10-02);
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.gu.edu.ge/ge/;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 25 პროფესიული სტუდენტი, სულ 50 სტუდენტი - ორ ჯგუფად მიღების გათვალისწინებით). პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

წარმოდგენილია პროგრამის დანართი 4-ით. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსების შესყიდვის და ფლობის დოკუმენტაციის და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო გარემოს და შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობის დათვალიერებით დადასტურდა მატერიალური რესურსის არსებობა. კოლეჯს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:

- **A ტიპის სასწავლო გარემო** – შერჩეულია აუდიტორია(დაწესებულების V კორპუსი, ბესიკის ქ.N2, ქ.გორი,), სადაც განთავსებულია 25 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი; დაფა 1 ცალი.

- **B ტიპის სასწავლო გარემო** – შერჩეულია აუდიტორია, სადაც განთავსებულია 25 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი, 25 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი.

აღნიშნული აუდიტორიების ფართიდან გამომდინარე, თითოეულში შესაძლებელია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის განთავსება.

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ მოდულის „პრაქტიკული პროექტი“ სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია 2020 წლის 09 ივნისს გაფორმებული სსიპ– გორის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და „ა.ა.ი.პ. - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორის, „ა.ა.ი.პ. - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების (ბაგა-ბაღები) ბაზაზე და ითვალისწინებს ერთდროულად არაუმეტეს 25 პროფესიული სტუდენტისთვის (ერთ ჯგუფად) პროგრამის აღნიშნული მოდულის რეალურ სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

გარემოში განხორციელებას. უნივერსიტეტი ვალდებულია ერთი კვირით ადრე აცნობოს სააგენტოს პრაქტიკული პროექტის დაწყების თაობაზე, წერილობითი ფორმით მიაწოდოს სტუდენტების სახელობითი სია (არაუმეტეს 25 სტუდენტისა) და პრაქტიკის გავლის თემატიკა(მოდული).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

2,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „აღმზრდელი“ განსაზღვრული პროფესიული მასწავლებლების რაოდენობაა 15 პროფესიული მასწავლებელი. მათ შორის, ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 3 (სამი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ–დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 11 (თოთხმეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი, ქართული ენის მოდულის განხორციელებაში 1 (ერთი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათი დატვირთვა საკონტაქტო საათების გარდა გულისხმობს სხვა სამუშაოების შესრულებასაც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და სხვ). ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ მასწავლებლებს, მათ შორის ზოგადი მოდულების განმახორციელებლებსაც, რომელთა დატვირთვა სხვა პროგრამებში ჩართულობის მიუხედავად არ სცდება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დატვირთვის მაჩვენებელს. პროფესიულმა მასწავლებლებმა დაადასტურეს მზაობა იმუშაონ მოცემული სასწავლო დატვირთვით. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა (არაუმეტეს 40 საათი კვირაში) შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამას დანართის სახით თან ახლავს პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების ჩამონათვალი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

3.„აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და შეფასდა პროფესიული განათლების მასწავლებელთავის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პერსონალის პირადი საქმეების შესაბამისობის საკითხი.

პერაონალის პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით დამტკიცებული ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია“ II თავის, მე–7 მუხლის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით და ვალდებულია შეასრულოს შემდეგ ფუნქცია-მოვალეობები: ა) მონაწილეობს პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირებაში; ბ) ზრუნავს პროგრამის შინაარსზე და მის ადეკვატურ განხოციელებაზე; გ) ზრუნავს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებაზე; დ)ჩართულია დამსაქმებლებისა და პრაქტიკის ობიექტების მოძიების პროცესში; ე) ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში; ვ) მონაწილეობს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიაში; ზ) ჩართულია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში; თ) ჩართულია ფორმალური განათლების აღიარების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე,

პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას დადგინდა,რომ პროგრამის ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის განხოციელებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

5.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„აღმზრდელი“,** მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ.ფოსტაზე გაგზავნის გზით. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო რესურსების სარგებლობის ფაქტი, წიგნადი ფონდის მოძრაობის სტატისტიკა. განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6.სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით დამტკიცებული ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციის“ მე–6 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტისათვის მისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური გეგმის შემუშვების მექანიზმს, რომლის თანახმად, უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების თხოვნით მიმართავს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს და წარუდგენს სათანადო დოკუმენტაციას. პროფესიული სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, პროფესიული სტუდენტის ჩართულობით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაბამისი მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის თანამონაწილეობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

საჭიროების შემთხვევაში, ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან. პროფესიული განათლების ცენტრი ამზადებს დასკვნას, რაც წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს და მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას და ხელშეწყობას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელის და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მეშვეობით კოლეჯი ახორციელებს შშმ და სსსმ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას. დაწესებულებაში შესაძლებელია საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირება ისე, რომ გათვალისწინებული იქნეს სსსმ პროფესიული სტუდენტის საჭიროებები და მოთხოვნილებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრმით გათვალისწინებულ ან ინდივიდულური სასწავლო გეგმითგათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან ,რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროევბებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7.დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის ბიუჯეტით დადგენილი რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 12–ს. ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში მოცემულია ვაუჩერული დაფინანსება, ვინაიდან პროგრამის განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მოცემულია ხარჯების სახეები, კერძოდ პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, მასალა და ნედლეული, კომუნალური გადასახადები, ძირითადი საშუალებების ცვეთა, სხვა ხარჯები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ამრიგად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ მდგრადობა უზრუნველყოფილია დაწესებულების ფინანსური რესურსებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების პირადი საქმეები და ხელშეკრულებები;
- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დათვალიერების შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან გასაუბრება;
- კოლეჯის ადმინისტრაციის და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნვერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს. პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში. დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას; პროგრამის შეფასების მექანიზნი ასევეითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო პროგრამა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

2. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ასამაღლებლად. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების ცენტრს. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს და15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერს. ავტორიზაციის ესპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო ცხრილები და დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება რექტორის სახელზე წარდგენილი პირადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძველზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნას განმეორებით შეფასებაზე გასვლის პრობლემა. შესაბამისად, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამის მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე, დაწესებულების ძალებით. სისტემატურად ტარდება ტერენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი „სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია“რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით. პროგრამა **„ საბიბლიოთეკო საქმე“** შემუშავებულ იქნა აღნიშნული წესის (მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა) შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

   დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, რომ მათ მიერ მუდმივად ხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, დამსაქმებლებთან მუდმივი თანამშრომლობით აზუსტებენ მათ საჭიროებებს. ასევე იყენებენ სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს. გადაწყვეტილების დროს ასევე ითვალისწინებენ დაინტერესებულ პირთა მომართვიანობის ანალიზის შედეგებს.

   სასწავლო უნივერსიტეტი არის მრავალპროფილიანი და მისი მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება,მაღალი ხარისხის პროფესიულ განათლების შესაძლებლობის შეთავაზება, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს. ასევე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით(#29-33; 28 მაისი 2018) დამტკიცებულ „2018 – 2024 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმაში“ ერთ-ერთი ამოცანაა საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შეთავაზება.

   ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, დასტურდება რომ პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ განხორციელების გადაწყვეტილება დაეფუძნა შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

განვითარების გეგმას და შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბიბლიოთეკო საქმე“ დაშვების წინაპირობად შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სრული ზოგად განათლება.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64). რაც არეგულირებს ჩარიცხვის პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 თებერვლის №27/ნ და 2022 წლის 25 მარტის 44/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად (ცვლილებები დამტკიცებული 18.04.2022 ბრძანება N 10-02).

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ ითვალისწინებს: პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას, ტესტირებას, გასაუბრებას, განმეორებით შეფასებას, აპელაციას, სსსმ აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურას, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვას, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებას, პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენ დოკუმენტაციას.

ყოველივე აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნით, უნარებითა ან/და გამოცდილებით პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც ადასტურებს რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

3. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით. დასაშვებია სხავდასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბიბლიოთეკო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ზემოაღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად და შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს, რაც ადასტურებს რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

4. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „საბიბლიოთეკო საქმე“ გათვალისწინებული როგორც მატერიალური, ისე საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ასაბიბლიოთეკო საქმე“ ითვალისწინებს სამ არჩევითი მოდულს, რაც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“ დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 29 აპრილის N6-14 დადგენილებით, რაც შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციასთან, რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით და მასში გაწერილია პროგრამის დამტკიცების წესი, შესაბამისად იგი დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებას „საბიბლიოთეკო საქმე“ სახელწოდება ასახავს პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს და უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა ძირითადი ინფორმაცია. მოდულები შესაბამისად ადაპტირებულია, მათში მითითებულია განმახორციელებლები, ასევე, პროგრამის პაკეტი მოიცავს სასწავლო გეგმას, რომელშიც დაცულია როგორც მოდულების წინაპირობები, ასევე, პროფესიული სტუდენტის განმეორებითი შეფასებისთვის განსაზღვრული დროის ინტერვალი.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 29 აპრილი N6-14 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 აპრილი N6-14 და 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილებები;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64, ცვლილება -18.04.2022 ბრძანება N 10-02);
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.gu.edu.ge/ge/;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

1.პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 30 სტუდენტი (ორ ცვლაში) , პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების A, B და C სასწავლო რესურსით.

A ტიპის სასწავლო გარემო განკუთვნილია თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის , აღჭურვილია 15 სტუდენტისთვის და მასწავლებლისთვის მაგიდა-სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პროექტორით.

B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით (15+1) , დემონსტრირების ციფრული საშუალება-პროექტორით, დაფით, კომბაინით (ქსელური პრინტერი სკანერისა და ასლგადამღების ფუნქციით), მასწავლებლის და 15 სტუდენტისთვის მაგიდა-სკამებით.

C ტიპის გარემო აღჭურვილია საბიბლიოთეკო დარგის მოდულში მითითებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით-

1.გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ბიბლიოთეკა-
ა.440 360 საბიბლიოთეკო ერთეულით , აქედან 308 877 ეგზ. წიგნი და 132 892 ჟურნალის ნომერი.

ბ. ელექტრონული კატალოგი-OPAC

გ. ელექტრონული სამეცნიერო ბაზები

დ. ელექტრონული ბიბლიოთეკა (ინტერნეტ ბიბლიოთეკა, მენეჯმენტის ინტერნეტ ბიბლიოთეკა, მარკეტინგის ინტერნეტ ბიბლიოთეკა, ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტები, ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალები)

ე. ელექტრონული სახელმძღვანელოები

ვ. სამეცნიერო კრებულები

2. გორის პროფესიული განათლების ცენტრის ბიბლიოთეკა (4010 ეგზ. წიგნით და ელ. ბიბლიოთეკით, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო აუდიო მასალით).

400

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

3. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო და საკონფერენციო სივცრცე (ეროვნულ ბიბლიოთეკასა და სსიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმი- (ქ.თბილისი-2020 წლის 22 სექტემბერი).

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარტნიორი ორგანიზაცია- ქ. გორის საჯარო ბიბლიოთეკა

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სავალდებულო, ზოგად, არჩევით და ქართული ენის მოდულების 20 პროგრამას ახორციელებს 11 მასწავლებელი. პედაგოგები ზრუნავენ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებაზე. ასევე მონაწილეობენ პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის ადაპტირებაში, ჩართულნი არიან ვერიფიკაციის პროცესში, ექსპერტის მხრიდან გადამოწმდა პროფესიული მოდულის-„გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი“ და „საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზების“ ვერიფიკაციის ნიმუშები.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა საბიბლიოთეკო სფეროში, განუვითაროს აუცილებელი უნარები და კომპეტენციები. შესწავლილ იქნა

საგანმანათლებლო პროგრამა-საბიბლიოთეკო საქმე და მასწავლებელთა პირადი საქმეები. მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გასაუბრება-ინტერვიუში დაადასტურეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მეთოდებით სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია, რომელიც ხორციელდება, როგორც შეფასების ინსტრუმენტების, უწყისების შემოწმებების, ასევე გამოკითხვით, ინტერვიუებით. **კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია პედაგოგები ინტენსიურად გადიოდნენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს, ესწრებოდნენ ბიბლიოთეკის სპეციალისტთა გადამზადების ტრენინგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით დასტურდება მისი 2008 წლიდან ბიბლიოთეკაში მუშაობის გამოცდილება, 2010 წელს გავლილი აქვს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სასწავლო კურსი-„უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკარების კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა“. 2021 წელს მონაწილეობა აქვს მიღებული ტრენინგზე-„საბიბლიოთეკო რესურსების ეფექტურად გამოყენება“. პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი რეგულირდება მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.მატერიალური სახით საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში არსებული წიგნებით, გაზეტებით, ჟურნალებით და სხვ. მასალით როგორც აბონემენტზე, ასევე დარბაზში („სსიპ გორის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები“)

ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკის შემდეგი სერვისებით-

ა. ელექტრონული კატალოგი (OPAC)-სტუდენტს საშუალება აქვს გაეცნოს ყველა სახის ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს, რაც ბიბლიოთეკაში არსებობს (ძებნა კატალოგში, სათაურით, ავტორით, თემატიკით, შიფრით)

ბ. ელექტრონული სამეცნიერო ბაზები

გ. ელექტრონული ბიბლიოთეკები

დ. სამეცნიერო კრებულები

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

განმავითარებელი რეკომენდაცია-

ა. გორის პროფესიული განათლების ცენტრის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსის სრულყოფილად დამუშავება საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ბ. პერიოდულად რაოდენობრივი მაჩვენებლის ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს ბიბლიოთეკას დააზუსტოს ხარისხობრივი მაჩვენებელი, გააკეთოს შედარებითი ანალიზი და დასახოს სტრატეგიული განვითარების გეგმა.

გ. ყველა სახის საბიბლიოთეკო პროცესი და ოპერაცია აისახოს დოკუმენტაციის სახით.

6.სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს. ხარისხის მართვის მენეჯერი ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად, განსაზღვრავს შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო პროცესს და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის დებულება). ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში განისაზღვრება პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ოპტიმალური გარემო, დამატებითი ადაპტირებული აღჭურვილობა. ამ ეტაპზე საგანმანათლებლო პროგრამას სსსმ სტუდენტი არ ჰყავს.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფის მდგრადობა უზრუნველყოფილია პსდ-ს ფინანსური რესურსით. სწავლა ფინანსდება სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. პროგრამის ბიუჯეტი შედგენილია რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით.

ბიუჯეტის შემოსავალი- ვაუჩერული დაფინანსება -%100

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ხარჯების სახეობა- ხელფასი-38 %, ძირითადი საშუალებების ცვეთა-29%, კომუნალური გადასახადები-24%, მასალა და ნედლეული-6%, სხვა ხარჯები-3%

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 29 აპრილის N6-14 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიულ განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები https://gu.edu.ge/ge/library;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნვერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს. პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში. დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას; პროგრამის შეფასების მექანიზნი ასევეითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო პროგრამა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

2. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების ცენტრს. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს და15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერს. ავტორიზაციის ესპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო ცხრილები და დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება რექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძველზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნას განმეორებით შეფასებაზე გასვლის პრობლემა. შესაბამისად, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამის მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე, დაწესებულების ძალებით. სისტემატურად ტარდება ტერენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება რექტორი ბრძანებით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

5.პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები - ქ. გორის საჯარო ბიბლიოთეკა, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო და საკონფერენციო სივცრცე. ექსპერტთა მოსაზრებით, **დასტურდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.პროგრამა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებას სპეციალური უსაფრთხოების წესების დაცვას, შესაბამისად, დაცულია ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 16 ოქტომბერს ბრძანებით N 1-98 და გამოკრულია სასწავლო გარემოში, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 29 აპრილი N6-14 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. დაწესებულებაში დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებულია განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს და სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესი დადგენილი წესების დაცვით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით; დაწესებულებაში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდნტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას. დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიულ სტუდენტების მიღწევების ანალიზი, რომელსაც იყენებენ მათი შემდგომი განვითარებისათვის. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი https://gu.edu.ge/uploads/other/11/11161.pdf;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ: 30 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ფარმაცია (სააფთიაქო)“**

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.გორი , ზესიკის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულერი
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	50

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სათანადო ცოდნის, კომპეტენციისა და უნარების მქონე ფარმაცევტის მომზადება წარმოადგენს ფარმაცევტული ბიზნესის განვითარების, მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას. დაწესებულების მიერ შესწავლილ იქნა კვლევა სათაურით „ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში“,რომელიც განხორციელდა 2016 წელს საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს- Tranparency Inernational Georgia, დაკვეთით (კვლევის ავტორი ნუცა თოხაძე) ; ნაშრომი მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს sida-ს მხარდაჭერით.ეს ამ ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მეორე კვლევაა, პირველი ჩატარდა 2012 წელს, ამდენად კვლევა კომპეტენტურობის თავლსაზრისით ეჭვს არ იწვევს. გავეცანით კვლევებს („ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში“, რომელიც განხორციელდა 2016 წელს საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, Tranparency Inernational Georgia და სხვ.), რომლებიც ცალსახად ითვალისწინებს ფარმაცევტული ბიზნესის განვითარების პერსპექტივებს და მის აუცილებლობას ქართული ეკონომიკისათვის, ქართული ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან მედიკამენტების წარმოების განვითარებას და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, რაც სფეროს კომპეტენტური სპეციალისტების ჩართულობას გულისხმობს, ამდენად, ეს კვლევა ფარმაციის პორფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი არგუმენტია.
   ასევე, სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფარმაცევტულ კომპანია სს “გეფასთან“ სადაც პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ შედეგებს გადიან პროფესიული სტუდენტები იმ კვალიფიციური სპეციალისტების უშუალო ხელმძღვანელობით, რომლებიც დასაქმებულნი არიან ამ კომპანიის სააფთიაქო ქსელში. გასათვალისწინებელია, ამავე სააფთიაქო ქსელის დამსაქმებელის ინტერესი და მოთხოვნა კვალიფიციური კადრის მიმართ, რომელიც უზრუნველყოფს შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეობის მომსახურებას, სააფთიაქო სფეროში დასაქმების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, დაწესებულების მისიას სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის დებულებით განსაზღვრულ მიზნებს და ამოცანებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას და ამავე ცენტრის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას.

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2..პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამით, რომელიც შეესაბამება ჩარჩო - დოკუმენტის მოთხოვნებს(რეგისტრაციის ნომერი-09110-პ) და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64). რაც არეგულირებს ჩარიცხვის პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 თებერვლის №27/ნ და 2022 წლის 25 მარტის 44/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად (ცვლილებები დამტკიცებული 18.04.2022 ბრძანება N 10-02).

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ ითვალისწინებს: პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას, ტესტირებას, გასაუბრებას, განმეორებით შეფასებას, აპელაციას, სსსმ აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურას, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვას, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებას, პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენ დოკუმენტაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ყოველივე აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნით, უნარებითა ან/და გამოცდილებით პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც ადასტურებს რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

3.სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა და ადამიანური რესურსი.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფარმაცევტულ კომპანია სს “გეფასთან“ , (პროფესიულ სტუდენტთა ჯამური რაოდენობა - 50 სტუდენტი).

„ფარმაცია (საფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, კოლეჯს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც ჯამში 2 წელზე შეადგენს 50 პროფესიულ სტუდენტს, **კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.პსდ-ს მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების მიერ დამტკიცებული, პროგრამით გათვალისწინებული, როგორც მატერიალური ასევე, საგანმანათლებლო და დაწესებულების/სასწავლო / პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

რესურსების ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას,

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს - ,,მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები“, რომელიც ჩარჩო დოკუმენტში არის მოცემული, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი. **კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტამდე შესასწავლად, დარგის ექსპერტს გადმოეცა დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო) მიმდინარე ვერსიის პაკეტი, რაც ცენტრისთვის მასალათა მიწოდების დროს ტექნიკურ უზუსტობასთან იყო დაკავშირებული. დაწესებულებაში ვიზიტისას, ადგილზე გადმოგვეცა პროგრამის ახალი ვერსიის სრული პაკეტი ბრძანებით. დარგის ექსპერტის მიერ შემოწმებული და შესწავლილი იქნა პროგრამის ორივე ვერსია.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავებულია საგანმანათლებლო სტანდარტის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი - 09110-პ) „ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy“ საფუძველზედა დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N6-19 21.05.2020 დადგენილებით, ცვლილება შევიდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N6-22 11.04.2022. მუხლი 2. შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად განხორციელდეს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის. (არსებული პროგრამის დასრულების თარიღი არის 2023 21 ოქტომბერი)
კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.პროგრამის სახელწოდება ფარმაცია(სააფთიაქო) არ არის შეცვლილი და იდენტურია ჩარჩო დოკუმენტის ფარმაცია(სააფთიაქო) სახელწოდებისა, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ფარმაცია (სააფთიაქო) ჩარჩო დოკუმენტი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

საგანმანათლებლო სტანდარტი ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy 09110-პ. უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაშიაში Higher Vocational Qualification in Pharmacy. აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED- ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს „ფარმაცია“კოდი 0916.

დაწესებულებაში საგანამანათლებლო პროგრამა „ფარმაცია სააფთიაქო“ ხორციელდება „სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 21 მაისის N407/ი ბრძანებით წარმოდგენილი ჩარჩო-დოკუმენტი; ცვლილება „სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 19 აპრილის N373610 ბრძანების და ,,სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N6-29 02.06.2021 საფუძველზე დამტკიცებული პროგრამით (როგორც პირველი, ასევე მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისთვის). ხოლო ახალ სასაწავლო 2022 წელს მიღებული პროფესიული სტუდენტების ისწავლიან „სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის N1159451 ბრძანების“, „ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 10 დეკემბრის N1353914 ბრძანების“ და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N6-22 11.04.2022. ცვლილების საფუძველზე დამტკიცებული პროგრამის ახალი ვერსიით.

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს, უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“(დამტკიცებული 07.09.2021 ბრძანება N 1-64, ცვლილება -18.04.2022 ბრძანება N 10-02);
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია(სააფთიაქო)
- პრაქტიკის ობიექტთან ხელშეკრულება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელებისთვის დათმობილი აქვს შემდეგ მისამართზე: ქ.გორი ბესიკის N2. V კორპუსი, A- C აუდიტორია N7 და ფარმაცია(სააფთიაქო) A-გარემო. A გარემო - თეორიული სწავლების აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერებით, პრინტერითა და პროექტორით. A- C აუდიტორია N7 განთავსებულია 25 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი, გარემოს შესაბამისი აღჭურვილობა და ინვენტარი. ექსპერტების მიერ AC გარემოში შერჩევით დათვალიერდა განთავსებული მატერიალური რესურსი.
დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის სწავლების უზრუნველსაყოფად საჭირო მინიმალური მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, დაწესებულება 8 მოდულის პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს ს.ს ,,გეფა“-ს ბაზაზე ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმად, მოდულების პრაქტიკული სწავლება უნდა წარმართოს პარტნიორი ორგანიზაციის საკუთრებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ადამიანური რესურსის გამოყენებით. ამავე ხელშეკრულებით უნივერსიტეტი ვალდებულებას იღებს სწავლის დაწებამდე პროფესიული სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში გადაამზადოს საკუთარი სახსრებით პარტნიორი ორგანიზაციის ის ადამიანური რესურსი, რომელიც მოაზრებულია აღნიშნული მოდულების გაანმახორციელებელ მასწავლებლებად.

სასწავლო გარემოს მოდელი B გარემოში განთავსებულია მაგიდა სკამებით, კომპიუტერი განკუთვნილი პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

ვიზიტის პერიოდისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა 47 აქტიური პროფესიული სტუდენტი(25 პირველი და 22 მეორე სასწავლო წლის). სტატუსი შეიჩერა 2 მა და შეიწყვიტა ერთმა სტუდენტმა.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა პრაქტიკის ობიექტის სს გეფა-ს წარმომადგენელთან და განმახორციელებელ პირთან გასაუბრება (გასაუბრება შედგა დისტანციურ ფორმატში ZOOM - ის აპლიკაციის დახმარებით), გასაუბრებისას აღინიშნა,რომ კომპანია სს გეფა მეორე წელია თანამშრომლობს გორის სასწავლო სახემწიფო უნივერსიტეტთან საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო) ფარგლებში. გორში სს გეფა წარმოდგენილია 10 აფთიაქით, სადაც პროგრამის 8 მოდულის პრაქტიკული შედეგების მისაღწევად სტუდენტები დადიან აფთიაქში და მათ კოორდინაციას უწევენ კომპანიის მიერ გადამზადებული ფარმაცევტები, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევს მენეჯერი. მოდულის დაწყების წინ 2 კვირით ადრე პრაქტიკის კოორდინატორს უკავშირდება უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრის სასწავლო პროცესის მენეჯერი/პროგრამის ხელმძღვანელი, განიხილება ჩასატარებელი მოდული. რის შემდეგ კოორდინატორი ხვდება ქსელის აფთიაქების მენეჯერებს და ტრენინგს უტარებს აღნიშნული მოდულის , მისაღწევი შედეგების, გეგმის და შეფასების ინსტრუმენტის შესახებ. დაწესებულებას სასწავლო გეგმა ისე აქვს შედგენილი რომ რვავე სააფთიაქო მოდული არის პროგრამის მეორე წელს, რაც იმას ნიშნავს რომ ერთდროულად ქსელში შედის მაქსიმუმ 25 პროფესიული სტუდენტი. რაც საშუალოდ თითო აფთიაქში 2 სტუდენტით განისაზღვრება. ექსპერტები ასევე დაინტერესდნენ კომპანიის აღნიშნულ აფთიაქებში სხვა მსგავსი სასწავლებლების სტუდენტებიც თუ გადიან პრაქტიკულ მეცადინეობას, რაზეც კომპანიის მხიდან იყო პასუხი, რომ გორში ასეთი მხოლოდ ერთი სასწავლებელია, რომელსაც ჰყავს 40 მდე პროფესიული სტუდენტი. ორივე დაწესებულების და კომპანიის შეთანხმების საფუძველზე გეგმები ისე არის შედგენილი, რომ ჯერ არ მომხდარა ერთიდაიგივე დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

აფთიაქში ორივე სასწავლებლის სტუდენტთა ერთდროული შესვლა. გასაუბრებისას სს გეფას წარმომადგენლებმა დაუდასტურეს ექსპერტებს, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სრულად უზრუნველყოფენ სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რომელთაც მოდულის დაწყების წინ, რომელიმე ნიმუშის აფთიაქში არარსებობის შემთხვევაში წინასწარ იწერენ.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით .

2.პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 15 პროფესიული მასწავლებელი(მათ შორის ზოგადი მოდულები - 4 (ინფორმაციული წიგნიერება- 2; უცხო ენა, მეწარმეობა ქართული ენა).

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით,

ექსპერტთა ჯგუფმა შეიწავლა განმახორციელებლების პირადი საქმეები, მათი ჩართულობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. ასევე გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს. ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები შესაბამის მოდულებს ასწავლიან მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცია(სააფთიაქო). სხვა პროგრამებში ჩართული არის ქართული ენის მასწავლებელი, რომელსაც ჯერ არ ჰყოლია არაართულენოვანი სტუდენტი/სტუდენტები და შესამაბისად ჯერ არ განუხორციელებია ქართული ენის სწავლება და ასევე პროფესიული დაგობრივი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი, რომელის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო განათლება“ კითხულობს ერთ მოდულს. მასწავლებელთა დატვირთვის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება პროფესიული მასწავლებლის დღიურ და კვირეულ დატვირთვის ზღვრულ რაოდენობას.

დაწესებულების პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

3.ექსპერტთა ჯგუფმა შეიწავლა განმახორციელებლების პირადი საქმეები, გაესაუბნენ პროფესიულ მასწავლებლებს. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირები აქტიურად არიან ჩართული პროგრამის და მოდულების ადაპტირება განხორციელებაში. გამოთქვეს თავიანთი შეხედულება და უკმაყოფილება რამოდენიმე მოდულის შედეგთა არაოპტიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებით. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მასწავლებლებს დაწესებულება უტარებს ტრენინგებს; მაგ. ბოლო პერიოდისთვის მათ გავლილი აქვთ დაწესებულებაში მოწვეული სპეციალიტების მიერ ჩატარებული ტრენინგები: ,,სწავლებისა და შეფასების მეთოდები“; ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაცია პროფესიულ განათლებაში“.

გასაუბრება ჩატარდა პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთაც კმაყოფილება გამოთქვეს პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების სწავლების მეთოდებზე, კომუნიკაციაზე, როგორც ონლაინ, ასევე აუდიტორულ/კონტაქტური სწავლებისას.

დოკუმენტაციის შესწავლის და გასაუბრების საფუძველზე, თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. **კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად ინიშნება პროგრამის დამტკიცების პარალელურად.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას, მან აღნიშნა, რომ ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე, ჩართულია პროგრამის განხორციელების პროცესში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრება პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელის დოკუმენტაცია აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება მარეგულირებელი დებულების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

მოთხოვნებს.

5.დაწესებულების ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. ელექტრონული რესურსები ჩაწერილია დისკზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში, მათი უმრავლესობა გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე.

დადგინდა მათი შესაბამისობა მოდულებით გათვალისწინებულ შედეგებთან. **აღმოჩნდა რამდენიმე ტექნიკური შეცდომა, როდესაც მოდულში საგანმანათლებლო რესურსში ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად შეტანილ იქნა სახელმძღვანელოები, რომლებიც ექსპერტის შეხედულებით არ პასუხობდა შედეგს. გასაუბრების დროს ააღმოჩნდა რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა. ასევე <u>მოდულში „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“ (0911005) - მითითებულ ძირითად საგანმანათლებლო რესურსთან ერთად სასურველია შეტანილ იქნეს დამატებითი სახელმძღვანელო, რომელიც მაქსიმალურად დაფარავს შედეგს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ფლობს აღნიშნულ სახელმძღვანელოს, რომელიც ვიზიტის დროს გასაუბრებისას და ელექტრონული ვერსიების დისკებზე ჩანაწერების შემოწმებისას დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა, მაგრამ ამ კონკრეტულ მოდულში ის ასახული არ არის.</u>**

დარგის ექსპერტი დაინტერესდა მოდულში „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ (0911025) მითითებულ საგანმანათლებლო რესურსში მომხდარი ცვლილებები, რაც დაკავშირებულია საკანონმდებლო აქტების ცვლილებასთან, თუ არის ცნობილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლისთვის და აღნიშნულის შემთხვევაში რას გეგმავდა იგი, რაზეც მასწავლებლის მხრიდან იყო ამომწურავი პასუხი, რომ ზემოაღნიშნულ მოდულს სტუდენტები გეგმის მიხედვით ახლა გადიან, საკანონმდებლო ცვლილება მისთვის ცნობილია და სტუდენტებსაც ასწავლის ახალი ცვლილება შესული კანონით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

გასაუბრებისას, პროფესიულმა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ლექციების ჩატარების დროს ისინი აქტიურად იყენებენ ელექტრონულ ვერსიებს, ამავდროულად სწავლების ონლაი რეჟიმიდან აუდიტორულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით სტუდენტები ინტერესდებიან წიგნადი ფონდითაც. რაც ასევე გასაუბრებისას დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა და ბიბლიოთეკარმა. მასწავლებლებმა კმაყოფილება გამოხატეს იმის თაობაზე, რომ უახლოეს მომავალში დაგეგმილია და უკვე იბეჭდება საგანმანათლებლო პროგრამისთვის ფარმაცია(სააფთიაქო) რამოდენიმე მოდულის მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელო.

ექსპეტის მიერ შემოწმებული იქნა ელექტრონულად დისკებზე ჩაწერილი ელექტრონული სახელმძღვანელოები. უნდა აღინიშნოს, წინა რეავტორიაზაციის პროცესში საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცია(სააფთიაქო) გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა სწავლების დისტანციურ მეთოდზე გადასვლასთან დაკავშირებით პროგრამის ელექტრონული სახელმძღვანელოებით მეტად უზრუნველყოფას- რაც დაწესებულების მიერ შესრულებულია. **კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - მოდულებში მოხდეს ლიტერატურის გადახედვა და ტექნიკური ხარვეზების გასწორება.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. ექსპერტთა მოსაზრებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**;

7.წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ბიუჯეტში, აღწერილია შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის შემოსავალია ვაუჩერული დაფინანსება. კოლეჯის მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 11 პროფესიული სტუდენტით, პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია ხარჯები: პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება; კომუნალური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

სასწავლო მასალის ხარჯი და სხვა).

პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო) განხორციელების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, ხელშეკრულებები;
- დაწსებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)

აქტიური თანამშრომლობით .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს. პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში. დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას; პროგრამის შეფასების მექანიზნი ასევეითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო პროგრამა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

2. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიციირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიციირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების ცენტრს. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია სააფთიაქო“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს და15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერს. ავტორიზაციის ესპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო ცხრილები და დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება რექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძველზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნას განმეორებით შეფასებაზე გასვლის პრობლემა. შესაბამისად, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამის მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე, დაწესებულების ძალებით. სისტემატურად ტარდება ტერენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. 4.პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება რექტორი ბრძანებით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულება ფარმაცევტულ კომპანია სს ‘‘გეფასთან‘‘. ექსპერტთა მოსაზრებით, **დასტურდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

6.პროგრამა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებას სპეციალური უსაფრთხოების წესების დაცვას, შესაბამისად, დაცულია ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 16 ოქტომბერს ბრძანებით N 1-98 და გამოკრულია სასწავლო გარემოში, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ N6-19 21.05.2020 დადგენილებით, ცვლილება შევიდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N6-22 11.04.2022. მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია სააფთიაქო“;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. დაწესებულებაში დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებულია განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს და სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2022)

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესი დადგენილი წესების დაცვით. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით; დაწესებულებაში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდნტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას. დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიულ სტუდენტების მიღწევების ანალიზი, რომელსაც იყენებენ მათი შემდგომი განვითარებისათვის. დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი https://gu.edu.ge/uploads/other/11/11161.pdf;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ: 50 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

XIII. თანდართული დოკუმენტაცია

....15/08/2022.....
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(თბილისი, 2022)